მალხაზ მაცაბერიძე

სხვა 25 თებერვალი

სამი გაზეთი თავისუფალი საქართველოსთვის



თბილისი

2014

მალხაზ მაცაბერიძე. სხვა 25 თებერვალი. სამი გაზეთი თავისუფალი საქართველოსთვის. თბილისი, 2014, - 100 გვ.

ნაშრომში განხილულია 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში გამოსული სამი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“, „საქართველოს“ და „ერთობის“ ნომრები. ასევე ქვეყნდება ამ საგაზეთო ნომრების სრული ტექსტები. 25 თებერვალს გამოსული გაზეთები უმნიშვნელოვანესი წყაროა ქართული საზოგადოების იმდროინდელი განწყობის შესასწავლად; ამ გაზეთებში კარგად ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ შექმნილ ვითარებას, რა იმედებით და მოლოდინებით ცხოვრობდნენ, რითი იმხნევებდნენ თავს და როგორ იბრძოდნენ.

ISBN 978-9941-0-6440-1

შინაარსი

შესავალი 8
თავი I. საომარი მოქმედებების გაშუქება 12
1. ცნობები მობილიზაციისა და საომარ მოქმედებათა შესახებ 12
2. მიმდინარე ომის ზოგადი შეფასება 14
3. თბილისის დაცვის ორგანიზება 16
4. საქართველოს რეგიონები სამშობლოს დასაცავად 17
5. ომში დაღუპულთა შესახებ 18
6. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 19
თავი II. კავკასიაში არსებული ვითარება 20
1.აჯანყება სომხეთში 21
2.ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი და მდგომარეობა აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში 22
თავი III. ბოლშევიკების კრიტიკა 24
1.მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში 24
2.ბოლშევიკების ანტიქართული საქმიანობა 25
3. საქართველოში შემოჭრილი რუსეთის წითელი არმია 27
თავი IV.მხარდაჭერის მოლოდინი 27
1.მიმართვა ერთა ლიგას და ცნობები დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესახებ 28
2.დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შესახებ 29

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 31
ფრონტზე (გენერალური შტაბის ცნობა) 31
ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი 31

სასწავლო სროლა 34
გმირთა ხსოვნას! 34
დაჰკა კახელო! 36
საქართველოს ხალხთა ლიგის თავმჯდომარის მიმართვა 37
ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი 37
რუსეთის კატასტროფული მდგომარეობა 39
ექიმთა მობილიზაცია 39
ბალშევიკების გაქცევა სომხეთიდან (რადიო ერევნიდან) 39
კახეთი 40
მობილიზაციის შესახებ. შესწორება 41
ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი 41
ქალაქის გამგეობისაგან 42
ყალბი ბონები 43
ცენტრალური სასანიტარო საბჭო 44
ყველა დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს (ცირკულიარი) 44
გენერალ-გუბერნატორის ბრძანება 45
საქართველო ფეხზე სდგას 46

გაზეთი „საქართველო“ 48
ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი 48
გენერალური შტაბის ცნობა. თბილისი. თებერვლის 24 49
ორი სტიქია 49
ფილიპე მახარაძე 50
ფრთოვანი ლომები 53

კათალიკოზის სიტყვა თბილისის მცხოვრებლებისადმი, თქმული სამხედრო ტაძრის ეზოში კვირას თებერვლის 20-ს 55
დედა-ქალაქის შთაბეჭდილებანი 57
საფრანგეთის რადიო 58
მთავარსარდალი კვინიტაძე 58
გერმანული პრესა საქართველოს გამარჯვების შესახებ 61
ქიზიყის ფრონტი 61
საფრანგეთის მისიის დაბრუნება 62
ევროპის მუშათა დემონსტრაციები (რუსების თავდასხმის გამო თბილისზე) 62
გარე-კახეთის ფრონტი 63
ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი 64
ქუთაისში 65
ამერიკა და საქართველო 66
აჯანყება აზერბეიჯანში 66
ბორჩალოს თათრები 67
ექიმთა მობილიზაცია 67
მობილიზაცია 67
სომხეთში 68
მიმოსვლა რკინის გზაზე 69
სურსათ-სანოვაგე თფილისისათვის 69
საგენერალ-გუბერნატოროში 70
სასწავლო სროლა 70
პატარა ფელეტონი 70
უცხოეთში 71
პოლონეთ-საფრანგეთის კავშირი 71
ლონდონის კონფერენცია 72

გაზეთი „ერთობა“ 73
გენერალური შტაბის ცნობა 73
ჩვენს მეომრებს 73
რაც უნახავთ, ვერ ნახავენ 75
მარტო არა ვართ 76
რადიო-ცნობა ერევნიდან 77
რადიო ერთა ლიგას 78
მეტი სიმტკიცით ზურგში 79
საბჭოთა რუსეთის კატასტროფული მდგომარეობა.
შიმშილი რუსეთში 81
რუსეთის დელეგაცია ფინეთში 81
ბელგიაში 81
ც.ა.კ. ცირკულიარული წერილი 82
საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 82
ფრანგული ცნობები 83
პოლონეთი და საფრანგეთი 83
უცხოეთის ინფორმაცია საქართველოს შესახებ 83
ლონდონის კონფერენცია 83
ამერიკის დახმარება საქართველოს 84
რას ნიშნავს „წითელ“ ავაზაკთა შემოსვლა? 84
ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტში 85
ბალშევიკები ყალბ ბონებს ამზადებენ 86
ბალშევიკების კავშირი ვილჰელმის მთავრობასთან 86
ფრონტიდან 87
დაღესტანი, თერგი, ყუბანი 91
თფ. პროფ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატისაგან 91
რკინის გზაზე 92
ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან 92
სამტრედია 92
სამობილიზაციო განცხადება 93

გენერალ-გუბერნატორის ბრძანებანი 94
თფ. პროფ. კავშირთა საბჭოს საკვები პუნქტი 95
თფილისის მეპურეების საყურადღებოდ 95
ბაზრის მეთვალყურეობის გარშემო 95
სავარჯიშო სროლა 96
ნემსით და საკერავ მანქანებზე მომუშავეებს 96
შკოლა და სამკერვალო („ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“)96
სამგლოვიარო ბარათი 96
პროვინცია თავდაცვის საქმეში 97
ქრონიკა 98
ფრონტის ფონდი 100

შესავალი

1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა მოჰყვა, ერთ-ერთი უაღრესად მძიმე ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ომის წინაპირობები, მსვლელობა და შედეგები ჯერ კიდევ ელის სერიოზულ სამეცნიერო კვლევა-ძიებას. ხშირად, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს რუსეთ-საქართველოს ომს უწოდებენ. რა თქმა უნდა, სწორედ საბჭოთა რუსეთი დაესხა თავს საქართველოს, მოახდინა მისი ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, მაგრამ საქართველოსთვის ეს მაინც არ ყოფილა მხოლოდ ომი რუსეთთან. მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ აამოქმედა იმ დროისათვის გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი; გარდა ამისა, თურქეთი - საქართველოს კიდევ ერთი მეზობელი - ასევე ჩართული აღმოჩნდა საომარ მოქმედებებში, როდესაც ჯარი შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე და ბათუმის მიტაცებასაც შეეცადა.

1921 წლის დასაწყისში საქართველო უმძიმეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. იმ დროისათვის კავკასიაში საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ინგლისი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ფაქტობრივად აღარ ცდილობდნენ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნებას. ვითარების ბატონ-პატრონი საბჭოთა რუსეთი და თურქეთი აღმოჩნდნენ. ეს ორი ქვეყანა, ერთმანეთის გამოყენებას ცდილობდა დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და თან ერთმანეთთან შეთანხმებით იყოფდა სამხრეთ კავკასიას.

მთავარი საფრთხე საქართველოს მაინც რუსეთიდან ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ დაეცვა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობები, არც თურქეთი წამოუყენებდა პრეტენზიებს საქართველოს და არც რუსეთის მიერ გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი იაქტიურებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მოსკოვი მაშინვე აამოქმედებდა სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. აამოქმედებდა თავის სამხედრო ძალას, რადგანაც საქართველოს შიგნით საბჭოთა რუსეთს არ გააჩნდა ისეთი დასაყრდენი, რომლის მეშვეობითაც, შიდა გადატრიალების მოწყობით მოახერხებდა თავისთვის სასურველი ხელისუფლების მოყვანას და საქართველოს გასაბჭოებას. ამის გაკეთება მხოლოდ გარედან აგ რესიის შე დეგად იყო შ ესაძლებელი. 1921 წლის თ ებერვალში საქართველო მარტო დარჩა საბჭოთა რუსეთის წინაშე, რომელსაც მისი დაპყრობა ქონდა გადაწყვეტილი და წითელი არმიის შემოტევის მოსაგერიელებლად ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ქონოდა.

მძიმე გეოპოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა არასწორად აფასებდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას და ვერ ხედავდა სასიკვდილო საფრთხეს. ამგვარი განწყობის შექმნას გარქვეულწილად ხელი შეუწყო დასავლეთმა. 1921 წლის იანვრის ბოლოს დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ მიჩნეული იქნა იმ მოვლენად, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობა, მით უმეტეს, რომ საქართველოს მეზობელი დიდი სახელმწიფოები - საბჭოთა რუსეთი და თურქეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ და მას ოფიციალურად კეთილმეზობლობას პირდებოდნენ.

მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციას, ქვეყ ნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და საზოგადოების მხრიდან არსებული ვითარების სათანადო შეუფასებლობას დაემატა უკვე ომის მსვლელობის დროს დაშვებული შეცდომები. ყოველივე ამის შედეგად მარცხით დამთავრდა ლორესთვის ბრძოლა და ვერ მოხერხდა თბილისის დაცვა.

თბილისის დატოვებამ საბედისწერო როლი შეასრულა ომის შემდგომ მსვლელობაში. ისევე როგორც 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის დროს, ამჯერედაც საბჭოთა რუსეთს საქართველოსთვის ომი არ გამოუცხადებია. თუკი საქართველო მოახერხებდა წითელი არმიის თავდასხმის მოგერიებას, შეიძლება მოსკოვს კიდევ ერთხელ დროებით უკან დაეხია და ყველაფერი გასაბჭოებული და ფორმალურად დამოუკიდებელი სომხეთ-აზერბაიჯანისთვის დაებრალებინა. მომხდარი გამოცხადებულიყო „სამხედრო კონფლიქტად“.

თბილისის აღებამ ერთი მხრივ, წარმატების იმედი გაუძლიერა საბჭოთა რუსეთს, მეორე მხრივ კი გამარჯვების რწმენა ბევრს დაუკარგა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის დატოვების შემდეგ საომარი მოქმედებები კიდევ სამი კვირის მანძილზე გრძელდებოდა, უკვე ფაქტობრივად არავის ქონდა იმედი, რომ საკუთარი ძალებით შეძლებდნენ წითელი არმიის მოგერიებას.

ქართულმა ჯარმა თბილისი მოულოდნელად დატოვა - 24-25 თებერვლის ღამეს. მანამდე თბილისის დამცველებმა მოიგერიეს წითელი არმიის ორი იერიში და 23 თებერვლისათვის მტერი თბილისის მისადგომებიდან უკუაგდეს. საზოგადოებას გამარჯვების განწყობა დაეუფლა. თუმცა, თბილისს ალყაში მოქცევის საფრთხე ემუქრებოდა და ქართული ჯარის მთავარსარდალმა თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ამჯერად არ ვეხებით საკითხს, თუ რამ განაპირობა და რამდენად მარ თებული იყო თბი ლისის უბრ ძოლველად და ტოვება, მის დაცვაზე უარის თქმა. ჩვენ მხოლოდ განვიხილავთ თბილისში გამოსული სამი გაზეთის, - „საქართველოს რესპუბლიკის“, „საქართველოს“ და „ერთობის“ 1921 წლის 25 თებერვალს გამოსულ ნომრებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ იყო ყოველდღიური სამთავრობო გაზეთი - „მთავრობის მოამბე“, როგორც აღნიშნული იყო თავად გაზეთში. 1921 წელს გაზეთის გამოცემის მე-4 წელი იყო. ამ დროის-

ათვის რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო გრიგოლ მა-ჭავარიანი.

გაზეთი „საქართველო“ ამ დროისათვის უკვე მე-7 წელი იყო რაც გამოდიოდა და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ერთ პარტიად გაერთიანების შემდეგ 1921 წლის იანვარში ითვლე-ბოდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტე-ტის ორგანოდ. გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო გრიგოლ ვეშაპე-ლი.

გაზეთი „ერთობა“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო იყო. გაზეთის რედაქტორი იყო ლევან ნათაძე. ქართული ჯარის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის პერიოდში გაზეთის მომდევნო ნომრები დასავლეთ საქართველოში იბეჭდებო-და.

ეს საგაზეთო ნომრები აღსავსეა გამარჯვების რწმენით. მიაჩნ-დათ, რომ ამ გამარჯვებით იწყებოდა ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. „ეს ეპოქა უდიდესი იქნება საქართველოს ახალ ისტო-რიაში“, - წერდა გაზეთი „საქართველო“ (სტატია „ორი სტიქია“); „ამ-იერიდან იწყება ახალი საქართველო“, - აღნიშნავდა „საქართველოს რესპუბლიკა“ (სტატია „ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი“), „თქვენი ხელით იჭედება ახალი ისტორიის უმშვენიერესი ფურცე-ლი“, - მიმართავდა გაზეთი „ერთობა“

როგორც უკვე ითქვა, თბილისის დატოვებას არავინ მოელო-და. 25 თებერვალს გამოსული გაზეთები თავისუფალი თბილისი-სათვის, მებრძოლი საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. ამ ომში საქართველოს რომ გაემარჯვა, 25 თებერვალს გამოსული გაზეთები არაფრით იქნებოდა გამორჩეული წინა ნომრებისაგან. მაგრამ ისე აღმოჩნდა, რომ 25 თებერვალს თბილისში რუსეთის წითელი არმია შემოვიდა.

25 თებერვალს გამოსული გაზეთები უმნიშვნელოვანესი წყა-როა ქართული საზოგადოების იმდროინდელი განწყობის შესასწავ-ლად; ამ გაზეთებში კარგად ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ შექმნილ

ვითარებას, რა იმედებით და მოლოდინებით ცხოვრობდნენ, რითი იმხნევებდნენ თავს და როგორ იბრძოდნენ.

თავი I. საომარი მოქმედებების გაშუქება

1. ცნობები მობილიზაციისა და საომარ მოქმედებათა შესახებ

25 თებერვალს გამოსული სამივე გაზეთი აქვეყნებს გენერალური შტაბის 24 თებერვლის ოფიციალურ ცნობას ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ცნობა მოკლეა და იმედის მომცემი. 23 თე ბერვალს სა ომარი მოქმედებები ფაქ ტობრივად არ ყო ფილა. წითელი არმიის თვითმფრინავმა თბილისში მხოლოდ ერთი ყუმბარა ჩამოაგდო, რაიმე ზიანის მოუყენებლად.

განსაკუთრებით აღნიშნულია გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრის მხარდაჭერა ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

სამივე გა ზეთში გა მოქვეყნებულია ცნო ბები მო ბილიზაციის შესახებ. გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილების განმარტებას, რომ მობილიზაციას ექვემდებარებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 19-დან 40 წლამდე, გარდა რუსებისა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აზუსტებს, რომ თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა ქალაქ თბილისის და თბილისის მაზრის მოქალაქეთა მობილიზაცია 19-დან 40 წლამდე. იგივეს იუწყებოდა გაზეთი „ერთობა“.

სამივე გაზეთი ასევე იუწყებოდა თავდაცვის საბჭოს მიერ 40 წლამდე ექიმთა მობილიზაციის შესახებ მთელ რესპუბლიკაში. მობილიზაციის პირველ დღედ დანიშნული იყო 25 თებერვალი, გაწვეული ექიმები დილის 9 საათზე უნდა გამოცხადებულიყვნენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის სამმართველოში.

სამივე გაზეთი აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ სასწავლო სროლები ახალგაწვეულ ჯარისკაცებისთვის გაგრძელდებოდა 25 და 26 თებერვალს.

საყურადღებოა გა ზეთ ე რთობაში გა მოქვეყნებულია სტა ტია „მთავარსარდალი კვი ნიტაძე", რომელშიც მოკ ლედაა გად მოცემუ-ლი გე ნერლის დამ სახურება სა ქართველოს დე მოკრატიული რეს - პუბლიკის პერიოდში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს და მისი როლი თბილისის 5-დღიანი დაცვის პერიოდში. მისმა დანიშ-ვნამ მთავარსარდლად გაამხნევა ჯარი და გამარჯვების რწმენა ჩა-უსახა. „სახელოვან სამხედრო მოღვაწის შვილი, უმაღლეს სამ-ხედრო აკადემიაში სწავლა-შემთავრებული, სამეომრო საქმეში გამობრძმედილი, დიდი სტრატეგი, გამჭრიახი მხედარი, პატრი-ოტი. ძლიერი ნების ყოფის ადამიანი, - აი გენერ. კვინიტაძე. იშ-ვიათია სამხედრო პირი, რომლისაც ეგოდენი რწმენა ჰქონდეთ, რაოდენიც მისი", - ასე ახასიათებს სტატიის ავტორი გენერალ კვი-ნიტაძეს.

გაზეთი „ ერთობაში" გა მოქვეყნებულია ვრცე ლი რეპორტაჟი ფრონტიდან (სტატია „ფრონტიდან"). სტატიაში საუბარია ჯარის პატრიოტულ განწყობასა და სამშობლოს დასაცავად მზადყოფნაზე. „სხვადასხვა ასაკისა და ტიპისაა ჩვენი ლაშქარი მოხუცი და ახალ-გაზრდა, სხვადასხვა კილოკავებით მოსაუბრე. მაგრამ ყველა ერთი გრძნობით გამსჭვალული, ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ ჩვენსას ვიცავთ", - აღნიშნავდა სტატიის ავტორი.

სამშობლოს დასაცავად ეროვნული გაერთიანებისკენ, ყოველ-გვარი შიდა დაპირისპირების დავიწყებისკენ მოუწოდებდა საქარ-თველოს მარ თლმადიდებელი ე კლესიაც. გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულია სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარ-ქის ლეონიდის სიტყვა თბილისის მცხოვრებლებისადმი, თქმული სამხედრო ტაძრის ეზოშო 20 თებერვალს. „მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთა-ურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მო-ვალენი ვართ მჭიდროდ გავერთიანდეთ მის გარშემო, დავივიწ-

ყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მორიგება" - აღნიშნავდა პატრიარქი.

შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილია ცნობილი ისტორიკოსის მ.ჯანაშვილის სტატია „ფრთოვანი ლომები", რომელიც ეხება მე-12 საუკუნეში მეფე გიორგი III-ის დროს მოპოვებულ გამარჯვებას მრავალრიცხოვან მტერზე. სტატიის სათაურად აღებულია გიორგი III-ის სიტყვები: „ფრთოვანნო ლომნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმირნეთ მტერთა ჩვენთა".

2. მიმდინარე ომის ზოგადი შეფასება

25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში გამოქვეყნებულია სტატიები, რომლებიც განხილულია მიმდინარე ომის ხასიათი, შეფასებულია საფრთხე, რომელიც დაემუქრა საქართველოს.

„საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია მოწინავე სტატია „ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი", რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსები სხვა დამპყრობლებთან შედარებით გაცილებით საშიში იყვნენ ქვეყნისთვის. რუსები „მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება". ამან შედეგი გამოიღო, „რუსის ცხოვრებამ, რუსის სკოლამ, რუსის ყაზარმამ და სატუსაღო-ჟანდარმერიამ ... დაგვაშორა ქართველობას", იმდენად გადააგვარა ქართველობა, რომ „დღესაც კი... არამც თუ ძველი თაობა ალექსანდრე-ნიკოლოზის რეჟიმში აღზრდილი თაობა - არამედ ახალი თაობაც - რუსეთის ლიბერალიზმ-რევოლუციაში გამოვლილი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს".

მხოლოდ ბრმა და ყრუ, ან მოღალატე ქართველი - „მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა“ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, „რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთის ვითარების სიცხადე“.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ მტერი მოგერიებულია და ეს გამარჯვება თავდები უნდა იყოს ახალი ხანის დაწყებისა - „ამიერიდან იწყება ახალი საქართველო“. გამარჯვების შემდეგ კი საქართველოში ორი რამ იქნება გასაკეთებელი - „აღმოფხვრა ქართველის გულიდან რუსულ მონურ ნაშთებისა“ და „გაწმენდა საქართველოისა ისეთი უცხო ელემენტებისაგან, რომლებშიაც ქართველი ერის განსაცდელის ჟამი მხოლოდ სიამოვნებას იწვევს“. ასეთი ადამიანები კი საქართველოში მრავლად აღმოჩნდნენ, თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ბრძოლების დროს ისინი მოუთმენლად ელოდნენ წითელი არმიის შემოსვლას.

გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ორი სტიქია“ შეფასებულია თბილის დაცვის დროს მოპოვებული გამარჯვება და აღნიშნულია, რომ „არასდროს ქართული ეროვნული სულის დაჭიმვა არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ამ დღეებში. ერმა იგრძნო უდიდესი საფრთხე და სტიქიურად წინ დაუდგა“.

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში „ჩვენს მეომრებს“ ნათქვამია, რომ ქართველი მეომრები მარტო საქართველოს, თავიანთ ახლობლებს კი არ იცავენ, არამედ ამ ომს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს - ეს არის ომი „არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის, მთელი მცირე აზიისთვის“. სტატიის ავტორის აზრით ამ ომის შედეგზეა დამოკიდებული ვის ხელში იქნება „ბედი ახლობელ აღმოსავლეთის“. რუსი ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდება ქვეყანა, თუ „ევროპის ნათელმა სხივმა უნდა გააბრწყინოს ჩვენი ცხოვრების მომავალი ბაღნარი“.

იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში „მარტო არა ვართ“ ავტორი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე ს.

დევდარიანი აღნიშნავდა, რომ საქართველოში გამარჯვების შემთხვევაში „ბალშევიზმი საშინელ მუქარით დაუდგება წინ ევროპის და აზიის დემოკრატიას. აქ დამარცხებულს მოსტყდება იმპერიალისტური კბილი და ის იძულებული გახდება უკან დაიხიოს ყველგან პოლიტიკურ ფრონტზედაც“.

3. თბილისის დაცვის ორგანიზება

საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ თბილისი მალევე გახდა ფრონტისპირა ქალაქი. მისი დაცვის ორგანიზებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში გამოქვეყნებულია გენერალ-გუბერნატორის ბ. ჩხიკვიშვილის ბრძანებები, რომელთა მიზანია რკინიგზის მუშაობის გაუმჯობესება, თბილისის სურსათით უზრუნველყოფა.

გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა, რომ თბილისისთვის განკუთვნილი სანოვაგე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე კერძო პირების, რკინიგზით რიგგარეშე იქნებოდა გაგზავნილი, შეფერხების შემთხვევაში კი უნდა მიემართათ რკინიგზის დაცვის მთავარი კომიტეტისთვის.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია თბილისის ქალაქის გამგეობის განცხადება, რომ თბილისში სურსათის გასაყიდად შემოტანა თავისუფლად შეეძლო ყველას და რეკვიზიციის არ უნდა შეშინებოდა. გამგეობა მოვაჭრეებს სთხოვდა, რომ „არავითარ შემთხვევაში არ იქნას გაყიდული არავისზე დღიურ საჭიროებაზე მეტი სანოვაგე“, ხოლო მოქალაქეებს მოუწოდებდნენ შეეძინათ „ყოველ დღე სანოვაგის მხოლოდ საჭირო რაოდენობა“.

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულია თბილისის გამგეობის სასურსათო განყოფილების განცხადება 25 თებერვლიდან 1 მარტამ-

დე თბილისის პურის საცხობების, თორნეების და პურის დუქნების რეგისტრაციის თაობაზე.

აქვეა დაბეჭდილი მოწოდება „ნემსით და საკერავ მანქანებზე მომუშავეთა: მიმართ, რათა გამოცხადებულიყვნენ გვარდიის მთავარი შტაბის მომარაგების განყოფილებაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის განცხადება, რომ შემოწირულობების მიღება შეუძლიათ მხოლოდ კომიტეტის შესაბამისი საბუთების მქონე პირებს.

4. საქართველოს რეგიონები სამშობლოს დასაცავად

25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამშობლოს დასაცავად გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სათაურით „საქართველო ფეხზე სდგას“ გამოქვეყნებულია ინფორმაციები ბორჯომსა და ბათუმში გამართული ღონისძიებების შესახებ. გაზეთის ცნობით, 21 თებერვალს ბორჯომში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც განაცხადეს, რომ არიან „რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში მთელი თავისი ქონებრივი და ფიზიკური შეძლებით“ და გამოთქვეს რწმენა, რომ „მთავრობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს სამშობლოს და საქართველოს“.

გაზეთი „საქართველო“ სპეციალურად ჩერდებოდა ქუთაისში მიმდინარე მოვლენებზე. გა ზეთი იტყობინებოდა თბილისიდან ზოგი სახელმწიფო დაწესებულების ქუთაისში გადასვლის შესახებ, თბილისის მიმართულებით მხოლოდ სამხედრო მატარებლების მოძრაობის თაობაზე. პარტიული გაზეთი, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას უთმობდა დემოკრატიული პარტიის საქმიანობას სამშობლოს დასაცავად. 19 თებერვალს ქუთაისიდან თბილისში გაემ-

გზავრა დემოკრატიული პარტიის მიერ შექმნილი სამხედრო რაზმი ორი ოფ იცრის თან ხლებით, ასევე დე მოკრატიული პარ ტიის სამ - ხედრო რაზმი შეუდგა სანიტარული რაზმის შედგენას, რომელშიც ჩაეწერა 30 ქალი და კაცი. დაიწყო მეცადინეობა და პირველი ლექ-ცია წაიკითხა ვასილ წერეთელმა.

გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულია მიმოხილვა „პროვინ-ცია თავდაცვის საქმეში", რომელშიც მოკლედაა მოთხრობილი გორ-ში, ზუგდიდში, ჭიათურა-საჩხერის რაიონში, სურამსა და ბათუმში მიმდინარე მობილიზაციის, მოხალისეთა შეკრების, ფრონტისთვის სურსათის მოგროვების თაობაზე.

რაც შეეხება ბათუმს, „ერთობაში" იგივე ინფორმაციაა გამოქ-ვეყნებული, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში". გაზეთი იუწყებო-და, რომ „ორთა ბათომის საზოგადოებამ 20 თებერვალს მოისმინა რა მოხსენებები დამფუძნებელ კრების წევრის ის. რამიშვილის და ჰაიდარ აბაშიძისა შექმნილ მდგომარეობის შესახებ, გამოს-თქვამს თავის უდიდეს პროტესტს და ზიზღს საქართველოზე ვერაგულათ ბალშევიკურ ჯარების თავდასხმის გამო, უსურვებს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას და მტრის სასტიკ და-მარცხებას".

5. ომში დაღუპულთა შესახებ

ომის დაწყების შემდეგ ქართულ გაზეთებში ქვეყნდებოდა სამგლოვიარო განცხადებები ომში დაღუპულთა შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისი არც 25 თებერვალს გამოსული გაზეთებია.

გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულია ერთ-ერთი ქვეითი ათ-ასეულის მე-3 გუნდის სახელით „სამგლოვიარო ბარათი", რომელ-შიც იუწყებიან ლეიტენენტ ვალიკო გარდაფხაძის და ჯარისკაცების კონდრატე გუჯაბიძის, ივანე სურგულაძის და გერასიმ არჩვაძის

დაღუპვას, რომლებიც „გმირულად და მამაცურად შეეწირენ სამშობლოს მტრის იერიშის დროს კოჯორის მიდამოებში“.

იმავე გაზეთში N 1 ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელები იუწყებოდნენ, რომ სოღანლუღში მძიმედ დაჭრის შემდეგ გარდაიცვალა მათი თანამებრძოლი გერონტი მალაქის ძე ბერძენიშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია სტატია „გმირთა ხსოვნას!“, რომელიც 23 თებერვალს თბილისში სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალული მეომრების ხსოვნას ეძღვნება. ავტორის თქმით, „აქ გაჭრილ სამარეზე აღიმართება ძეგლი სამარადისო და ზედ გამოიჭრება წამების ჯვარი, როგორც სიმბოლო საქართველოს მრავალ ტანჯვის“.

სამშობლოსათვის დაღუპულ მეომრებს კი სტატიის ავტორი მიმართავს: „სად მისდიხართ ასე ერთად, ერთგულად შეთქმულნი? იქნებ ისწრაფით წინაპართა, აჩრდილ გარდასულთ ხილვას? მაშ თუ ასეა – უამბეთ: საქართველოს გამარჯვება. თქვენ თვით გამარჯვებულნი წარსდექით მათ წინაშე და მათთან ერთად მიიღეთ უკვდავების სახელი. უთხარით რომ ქართველი ერი აღსდგა და დაამსხვრია მონობის ბორკილი. საქართველო ისევ ძლიერია და მა გარი. საქართველო და იცავს თქვენ ძვი რფას ხსოვნას“.

6. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ბრძოლების დროს წითელ არმიას დაკავებული ქონდა ქვემო ქართლი და კახეთის რიგი რაიონები. 25 თებერვალს გამოსული გაზეთებში ყურადღება ეთმობოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილია საკუთარი კორესპონდენტის ინფორმაცია სათაურით „კახეთი“. მასში აღნიშნულია, რომ კახეთში შეჭრილი ბოლშევიკური ჯარი ხმას ავრცელებდა - თბილისი ავიღეთ და წინააღმდეგობა არ გაგვიწიოთო. „ეს

მტარვალნი, სადაც ფეხს შესდგამენ ყველგან სიცრუით და მზაკვრული გზით უნდა გაიყვანონ თავიანთი საქმენი". გაზეთის ინფორმაციით, „მტერს აჯანყებია სიღნაღის გარშემო მდებარე სოფლები და პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებს".

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია ასევე მოწოდება კახეთის მოსახლეობისადმი „დაჰკა კახელო!". მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მტრის შეტევა თბილისზე მოგერიებულია და საქართველოს ჯარი კახეთის გასანთავისუფლებლად დაიძვრება, კახეთისა, რომელიც „საქართველოს გულია". კახეთის მოსახლეობას მოუწოდებდნენ მედგარი წინააღმდეგობა გაეწია „სასტიკი და დაუნდობელი მტრისთვის". მოწოდება მთავრდება სიტყვებით: „მედგრად კახელო! დაჰკა მტერს. მთელი საქართველოც შენთან იქნება".

გაზეთ „საქართველოში" გადმობეჭდილია ადრე გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული ორი სტატია: „ქიზიყის ფრონტი" და „გარე-კახეთის ფრონტი".

გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულია მცირე სტატია „ბორჩალოს თათრები", რომელშიც აღნიშნულია, რომ ბორჩალოს მაზრაში ჩვენი ჯარის უკან დახევისას მათ გამოჰყვათ მუსლიმი მოსახლეობის ნაწილიც. ბორჩალოდან ლტოლვილმა მუსლიმებმა სამხედრო რაზმიც შეადგინეს და ცხენოსანი პოლკის შემადგენლობაში ჩაერთვნენ საომარ მოქმედებებში.

გაზეთის ცნობით, ბორჩალოში დარჩენილი მოსახლეობა მზად იყო აჯანყებისთვის და „ბორჩალოში ჩვენი ჯარის შესვლა პირველი სიგნალი იქნება აჯანყებისთვის".

თავი II. კავკასიაში არსებული ვითარება

25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში დიდი ყურადღება ეთმობა კავკასიაში შექმნილ ვითარებას. გამოქვეყბებული ინფორმაციები

გამამხნევებელი იყო თბილისის დამცველებისთვის. ისე ჩანდა, რომ ბოლშევიკების პოზიციები კავკასიაში მყარი არ იყო - აჯანყებულებმა სომხეთში განდევნეს ბოლშევიკები ერევნიდან, აჯანყებები დაღესტანში და აზერბაიჯანში, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლების კომიტეტის შექმნა... ისე ჩანდა, რომ საქართველოზე თავდასხმის მარცხი ბოლშევიკებისაგან კავკასიის განთავისუფლების დასაწყისი შეიძლება გამხდარიყო.

გაზეთი „ერთობა" აღნიშნავდა, რომ წითელი არმია საქართველოში თუ დამარცხდებოდა, ბოლშევიზმი „დასამარებული იქნება და განდევნილი კავკასიის არემარედან". ამიტომაც „მთელი კავკასიის ერები", თვალს ადევნებენ მიმდინარე ბრძოლას და საქართველოს გამარჯვებას მოელიან „როგორც ცის მანანას, როგორც მხსნელი მეფის მოსვლას".

1.აჯანყება სომხეთში

25 თებერვალს გამოსული სამივე გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას სომხეთში დაშნაკთა მიერ დაწყებული აჯანყების წარმატებისა და ერევნიდან ბოლშევიკების გაქცევის შესახებ. ეს იყო ერევნიდან რადიოთი 22 თებერვალს გადმოცემული ცნობა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ამის თაობაზე იუწყებოდა სათაურით „ბალშევიკების გაქცევა სომხეთიდან (რადიო ერევნიდან), გაზეთ „საქართველოში" მოკლე სათაური ქონდა - „სომხეთში", ხოლო გაზეთი „ერთობა" მას აქვეყნებს სათაურით „რადიო-ცნობა ერევნიდან". ცნობა ერევნიდან ბოლშევიკების განდევნის შესახებ ცნობა განსაკუთრებით სასიხარულო იყო წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოსთვის.

წითელი არმიის საქართველოზე შეტევის დაწყებით ისარგებლეს დაშნაკებმა და აჯანყება დაიწყეს სომხეთში. აჯანყება წარმატე-

ბით წარიმართა და აჯანყებულებმა 18 თებერვალს ერევანიც დაიკავეს.

ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ ერევნიდან გაქცევისას ბოლშევიკებმა თან წაიღეს ოქროვერცხლი, ვალუტა და სურსათი. ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში კი ერევანი „მათხოვრებით და დამშეული ობლებით იყო სავსე“.

ერევნიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აჯანყება სომხეთში ფართოვდებოდა, აჯანყებულები მოუწოდებდნენ „ლორისა და ყაზახის გლეხებს მატოვონ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ბოლშევიკების რაზმები და დაიწყონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა“.

სომხეთში, თავის მხრივ, სიხარულით ხვდებოდნენ ცნობას, რომ „საფრანგეთი საქართველოს ეხმარება და საქართველომ გაიმარჯვა“. თბილისზე წითელი არმიის წარუმატებელი იერიში მართლაც უაღრესად არამყარს ხდიდა ბოლშევიკების პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ქართული ჯარების მიერ თბილისის დატოვებამ ვითარება წითელი არმიის სასარგებლოდ შეცვალა.

წითელმა არმიამ ერევნის ხელახლა დაკავება მხოლოდ საქართველოში საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ, 1921 წლის 2 აპრილს შეძლეს.

2. ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი და მდგომარეობა აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში

25 თებერვალს გამოსულ სამივე გაზეთში გამოქვეყნებულია ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტის თავმჯდომარის ჰაიდარ ბამატის მიერ გაგზავნილი მოწოდება საზღვარგარეთის ქვეყნებისადმი. მასში აღნიშნულია, რომ 1921 წლის 17 თებერვალს თბილისში შეიქმნა ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა

ჩრდილოეთ კავკასიის და აზერბაიჯანის „რუსეთის ბოლშევიკური ოკუპაციისგან განთავისუფლება“, ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების აღდგენა „კავკასიის კონფერენციის სახით“.

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტში გაერთიანებული იყვნენ აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ყოფილი მთავრობების და პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლები. გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ კომიტეტი აქტიურად შეუდგა მოქმედებას და ის საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულია „ჩრდილო კავკასიის და ადერბეიჯანის ხალხთა ერთადერთ ნების გამომხატველად“.

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაცია „დაღესტანი, თერგი, ყუბანი“, რომელშიც კავკავიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსული პირის ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ დაღესტანში ხშირია აჯანყებები. აჯანყებულებები აზიანებენ რკინიგზებს, თავს ესხმიან ბოლშევიკთა რაზმებს. ბოლშევიკებისთვის დაძაბული ვითარებაა ყუბანშიც. „სულ მცირე საბაბი იქნება საჭირო, რომ მთელი ყუბანი აჯანყდეს“.

გაზეთი „ერთობა“ ასევე იუწყებოდა 22 თებერვალს მიღწეულ შეთანხმებაზე აზერბაიჯან-მთიელთა კომიტეტს, ყუბანის განმათავისუფლებელ კომიტეტს და თერგის კაზაკთა წარმომადგენლებს შორის.

გაზეთ „საქართველოს“ 25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაცია „აჯანყება აზერბეიჯანში“, სადაც მოთხრობილია სამდღიანი ბრძოლის შესახებ სადგურ ტაუზთან მუსლიმთა რაზმსა და ბოლშევიკების 3 ათასიან ჯარს შორის. აჯანყებულებმა უკ ან და იხიეს, ბოლშევიკებმა კი შ ური იძ იეს მშვი დობიან მოსახლეობაზე.

ინფორმაციაში აღნიშნულია თუ როგორ იყენებდნენ ბოლშევიკები მუსლიმების წინააღმდეგ ადგილობრივ სომხებსა და მალაკნებს.

თავი III. ბოლშევიკების კრიტიკა

25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში გამოქვეყნებულია მრავალი მასალა ბოლშევიკურ რუსეთში შექმნილი მდგომარეობის, ბოლშევიკების ანტიქართული საქმიანობის და საქართველოში შემოჭრილი რუსეთის წითელი არმიის შესახებ

1.მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში

გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა" და „ერთობა" გამოქვეყნებულია 23 თებერვალს რადიოთი მიღებული ინფორმაცია საბჭოთა რუსეთში არსებული კატასტროფული მდგომარეობის შესახებ, რომელიც იუწყებოდა, რომ შიმშილმა რუსეთში საშინელი ხასიათი მიიღო და მთავრობა იძულებული გახდა მოსახლეობისთვის მიემართა, რათა დახმარება გაეწიათ დამშეული რაიონებისათვის.

გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულია რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) ცირკულარული წერილის შინაარსი, საიდანაც ჩანდა, თუ როგორ ცუდად ექცეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მოხელეები გლეხობას „სასურსათო წესების" გატარების დროს. რუსეთის ცაკი საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებს მოუწოდებდა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რადგანაც ეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდა გლეხობას.

გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ალიანსების შექმნის თაობაზე მიმ-

დინარე მოლაპარაკებების შესახებ. ფრანგულ პრესაში განიხილებოდა გეგმა რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მხრიდან პოლონეთის დახმარების შესახებ იმ შემთხვევაში თუკი სამხედრო მოქმედებები დაიწყებოდა პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. გაზეთის ცნობით, ჩეხოსლოვაკია თანახმა იყო საჭირო დახმარება გაეწია პოლინეთისთვის, თუმცა ჩე ხოსლოვაკია საბ ჭოთა რუ სეთის ბლო კადის წინააღმდეგი იყო.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ინფორმაცია „ბოლშევიკების კავშირი ვილჰელმის მთავრობასთან“, რომელშიც გერმანულ პრესაზე დაყრდნობით საუბარია იმ დახმარების შესახებ, რაც ლენინმა, ტროცკიმ და სხვა ბოლშევიკებმა მიიღეს გერმანიის ხელისუფლებისაგან პირველი მსოფლიო ომის დროს.

„ერთობა“ ასევე ბეჭდავს ცნობას პოლონეთისა და საფრანგეთის შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმად პოლონეთზე თავდასხმის შემთხვევაში, საფრანგეთი მას დაეხმარება გენერალური შტაბის, სამხედრო მასალის და კაზმულობის მიწოდებით, როგორც ეს მოხდა 1920 წელს და მაშინ კარგი შედეგებო მოუტანა პოლონეთს. იგულისხმება პოლონეთ-რუსეთის ომი, როდესაც პოლონელებმა მოიგერიეს საბჭოთა არმიის შეტევა.

2.ბოლშევიკების ანტიქართული საქმიანობა

გაზეთ „საქართველოში გამოქვეყნებულია ვრცელი სტატია სათაურით „ფილიპე მახარაძე“. სტატიის დაწერის მიზეზი დასაწყისშივეა გადმოცემული: „შულავერში შემდგარა საქართველოს რევკომი, რომლის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ ფილიპე მახარაძე“. რევკომის ლიდერის დახასიათება გამანადგურებელია. „სწავლა-განათლებით, განვითარებით ფილიპე საშუალო ინტელიგენტზედ დაბლა სდგას. მას არ აქვს დიდი გონებრივი ჰორიზონტი, არც თუ ნიჭით არის დაჯილდოვებული. სამაგიეროთ პატივმოყვარე-

ობა, ისიც წვრილმანი პატივმოყვარეობა, დიდი აქვს", - ნათქვამია სტატიაში.

ფილიპეს უდიდეს დანაშაულად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაა მიჩნეული. „მან მიზანში ამოიღო ილია ჭავჭავაძე და თავის ჟურნალში ამ დიდებულ ადამიანზედ ათავსებდა სხვადასხვა ქუჩურ ჭორებს, რამაც იმსხვერპლა ილია. ფილიპე მახარაძეს ჩვენი სათაყვანებელი ილიას სისხლით აქვს ხელები გასვრილი, და დღეს ეს უღირსი, ნაძირალა შვილი საქართველოსი, ჩვენ ბედნიერებას გვპირდება", - ნათქვამია სტატიაში.

„საქართველოს რესპუბლიკასა" და „ერთობაში" გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს განცხადება, რომ „ჩვენი მტრების - ბოლშევიკების მიერ აუარებელი ყალბი ათას მანათიანი ბონები იბეჭდება კავკავში და ს. ნაზრანში, რომლებსაც სხვა და სხვა საშუალებით ეზიდებიან საქართველოსკენ". შემდეგ დაწვრილებით განმარტებულია, თუ როგორ უნდა გამოეცნოთ ყალბი ფულის ნიშნები.

გაზეთი „ერთობა" სტატიაში „მეტი სიმტკიცით ზურგში" ყურადღებას აქცევს ბოლშევიკების ძირგამომთხრელ საქმიანობას, რაც მათი წარმატების საფუძველი არაერთხელ გამხდარა. „ბალშევიკები, როგორც ვიცით, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ შიგნით, არევ-დარევის გამოწვევას, ერთნაირი სულიერი განწყობილების შექმნას, ვიდრე გამაგრებული პოზიციების სამხედრო ძალებით აღებას. ამისთვის ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, ამისათვის ისინი ფართოდ იყენებენ იეზუიტურ დევიზს - მიზანი ამართლებს საშუალებასო. მათ ჰყავთ ყოველგან საჯაშუშოთ აუარებელი მოსყიდული ნაძირალა - აგენტები. ამისთვის ხარჯავენ უანგარიშო ფულს, და, უნდა ვთქვათ, რომ ამით ისინი არა ერთხელ გასულან ფონს", - აღნიშნულია სტატიაში.

გაზეთის ინფორმაციით, 24 თებერვალს ბოლშევიკების აგენტურამ თბილისში ფურცლები მოაბნია - „საცაა განმათავისუფლებელი წითელი არმია თფილისში შემოვა და, მოქალაქენო, მზათ იყავით შესახვედრათო".

3. საქართველოში შემოჭრილი რუსეთის წითელი არმია

საქართველოში შემოჭრილი რუსეთის წითელი არმიის შესახებ ქართული პრესა ტყვეების მიხედვით მსჯელობდა. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულია სტატია „ქუთაისში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისში 19 და 21 თებერვალს ჩაიყვანეს ტყვედ ჩავარდნილი წითელარმიელები. მათი ნაწილი დააბინავეს ქუთაისის მე-2 გიმნაზიაში და ქალების 1-ლ გიმნაზიაში. ტყვეები ძირითადად რუსები და სომხები იყვნენ. „ტანზედ ძალიან ცუდად აცვიათ, ერთი შეხედულობით მათ შეატყობთ, რომ მოღალულნი არიან“.

გაზეთ „ერთობაში“ გადმობეჭდილია ადრე „საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალა დაჭრილ-დახოცილ რუს ჯარისკაცთა წერილებისა და ტყვეების ნაამბობის შესახებ. „ამ წერილებიდან და ამ ნალაპარაკებიდან ჩანს, რას უქადის ჩვენს ხალხს თფილისში შემოსვლა კომუნისტური ჯარისა“, - აღნიშნავდა „ერთობა“.

გაზეთი „ერთობა“ ასევე აღნიშნავდა, რომ წითელი არმია ბრძოლაში იყენებდა ისეთ ტყვიებს, რომლებიც სროლის დროს სკდება და მათი გამოყენება საერთაშორისო წესებით აკრძალულია. „ჩვენმა ჯარისკაცებმა საერთოდ ბევრი ვაზნები გადმოგვცეს ფრონტზე მოპოვებული ბრძოლის შემდეგ, რომელნიც ასეთ გამხეთქავი ტყვიებით არიან გატენილი“,- წერდა გაზეთი.

თავი IV.მხარდაჭერის მოლოდინი

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დასავლეთისგან მხარდაჭერას ელოდა. დახმარების იმედი გამარჯვების რწმენას აძლიერებდა. ეს კარგად ჩანს 25 თებერვალს გამოსულ გაზეთებშიც.

1.მიმართვა ერთა ლიგას და ცნობები დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესახებ

გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ერთობა“ გამო ქვეყნებულია ერთალ ლიგის საქართველოს საზოგადოების თავმ-ჯდომარის ლომ თათიძის მი მართვა ერ თა ლი გის თავმ ჯდომარის ლეონ ბურჟუას სახელზე. მიმართვაში მოუწოდებდნენ „განათლე-ბულ კაცობრიობას“ და „ევროპის ხალხებს“ დახმარებოდნენ საქარ-თველოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში. „საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაესხა თავს საქართველოს რესპუბლიკას ღამით, ამოხოცა მძინარე ჯარისკაცები და ოფიც-რები და ყოველი მხრიდან შემოგვიტია. ვერაგი მტერი ამას არ სჯერდება. ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ესვრის თფილისს. მი-ვაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს, რათა ევრო-პის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცველად ველურ-თა ურდოებისაგან“,- ნათქვამია მიმართვაში.

25 თებერვლის გაზეთებში ქვეყნდება რამდენიმე ცნობა და-სავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა იყო გენერალური შტაბის ცნობა, რომ „გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრა ესვრის ბოლშევი-კებს“. გაზეთი „საქართველო“, საფრანგეთის მისიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, წერდა, რომ პარიზსა და ლონდონში მუშებმა დიდი მანიფესტაციები მოაწყეს „რუსი ბოლშევიკების ჯარების საქართვე-ლოზე ვერაგული თავდასხმის გამო. მუშები მოითხოვენ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს“.

გაზეთები „საქართველო“ და „ერთობა“ იუწყებოდნენ, რომ აშშ-ის გენერალურმა კონსულმა 21 თებერვალს თავის მთავრობას მოუწოდა საქართველოს უსასყიდლოდ დაეხმაროს სურსათით, ტანსაცმლით და მედიკამენტებით.

გაზეთ „საქართველოს“ ინფორმაციით, თბილისში დაბრუნდა საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი კორბეილი თავის შტაბით. 23 თებერვალს კორბეილი დაესწრო სამხედრო ტაძარში „სამშობლოსათვის თავდადებულთა დასაფლავებას“.

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულია სტატია „მარტო არა ვართ“ რომელშიც ს.დევდარიანი აღნიშნავს, რომ დასავლეთის მხარდაჭერა დამოკიდებული იქნება საქართველოს წინააღმდეგობის უნარზე და შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლაზე. „ჩვენთან არის მსოფლიო დემოკრატია. ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც მთელი საქართველოს ჯარი მოიკრიბა თავის დროშის ქვეშ, გზავნის ცნობებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ სხვა და სხვა ქალაქებში. ევროპიდან უკვე მოისმის თანაგრძნობის ხმა. ეს თანაგრძნობა გადავა სიტყვიდან საქმეზე. გადავა, როცა დარწმუნდებიან იქ, რომ ჩვენი თავდაცვის ენერგია არ დასუსტდება, რაც უნდა დიდხანს გაგრძელდეს ომი“, - წერდა სტატიის ავტორი.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერას, ამაზე კარგად მეტყველებს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული სტა ტია „ დედა-ქალაქის შთა ბეჭდილებანი“, რომელიც 24 თებერვლის ამბებს ასახავს. „მოსულმა ცნობებმა, რომ პარიზსა და ლონდონში ჩვენი საქომაგო მანიფესტაციები მომხდარა, მოქალაქეთა გულს მოჰფინა შუქი სიხარულისა“,- ნათქვამია სტატიაში.

2.დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შესახებ

„საქართველოსა“ და „ერთობაში“ გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისთან მოპოვებული გამარჯვების შესახებ საფრანგეთის პრესაც იუწყებოდა. „სამი ბოლშევიკური დივიზიის შეტევა ტფილისის წინააღმდეგ ქართველებმა მოიგერიეს და საქართველოს სატახტიო ქალაქი ამრიგად განთავი-

სუფლდა“. ეს ცნობა გამოქვეყნებულია საფრანგეთის რადიოზე დაყრდნობით.

გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულია ასევე გერმანული პრესის ინფორმაციები კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ, თუმცა არ არის დასახელებული ის გაზეთები, რომლებიც საქართველოს შესახებ იუწყებოდნენ.

გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ერთ-ერთ სტატიაში წითელი არმიის მარცხი თბილისთან და აჯანყება სომხეთში, რასაც ბოლშევიკების ერევნიდან გაქცევა მოჰყვა, მიჩნეულია გარდამტეხ მომენტად და სტატიის ავტორის აზრით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „კომუნიზმი კავკასიიდან გაიხვეტება“.

„ჩვენ მივედით გარდატეხის ხანამდე, ყოველ შემთხვევაში კავკასიისათვის, და სწორედ ამაშია ნამდვილი მნიშვნელობა ეხლანდელი დიდებული გამარჯვებისა, რომელიც მოიპოვა შეგნებულმა განუყრელობამდე გაერთიანებულმა ქართველმა ერმა“,- ნათქვამია სტატიაში.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეოთხე. ფასი 50 მან. პარასკევი, თებერვლის 25, 1921 წ.

ფრონტზე (გენერალური შტაბის ცნობა)

თებერვლის 23 დღემ ყველა მიმართულებით მშვიდობიანად ჩაიარა. მტრის ჰაეროპლანმა გუშინ ერთი ყუმბარა ჩამოაგდო უშედეგოთ. ტყვიის მფრქვეველის ცეცხლით მტრის ჰაეროპლანი განდევნილ იქნა და აქსტაფის რაიონისაკენ მიიმალა.

გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრა ესვრის ბოლშევიკებს.

ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი

უხსოვარ დროიდან დღევანდლამდე მოდის და მოსტირის საქართველო, ქართველი ერი, თავის ბედს!...

ვის გინდათ, რომ არ მოესურვებინათ საქართველოს გასრესა, მისი გაცამტვერება?

რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, თურქები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, რუსები, სომხები, - რიგრიგად სცდილობდნენ საქართველოს შემუსვრას, ქართველი ერის დამცირებას.

ამ დაუსრულებელ შეხლა-შემოხლასა და ვაი უბედურებაში საქართველომ ბევრი რამ ნახა და ისწავლა, მაგრამ უფრო ბევრი ხრწნილება და ზეგავლენა განიცადა.

ზოგმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი. ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი,

ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა.

სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა.

საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებელად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა თუ გარეშე საქმეებს.

ამან წარმოშვა თავისებური ეროვნული სული, ეროვნული თვისებანი, ეროვნული მწერლობა, ეროვნული სჯული და ღმერთი.

რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა.

მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი – რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა ალექსანდრე-ნიკოლოზის რეჟიმში აღზრდილი თაობა – არამედ ახალი თაობაც – რუსეთის ლიბერალიზმ-რევოლუციაში გამოვლილი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს.

ქართველ კაცს დაკარგული ჰქონდა თავის თავის იმედი, თავისებური აზროვნება, თავისებური განსხვავება ცხოვრებისა და საოცნებო იდეალებისა.

შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, ნინოშვილის, ალ. ყაზბეგის და სხვა ქართველ მწერალთა მოდგმისანი, გატაცებულან რუსული ლიტერატურით და გაგიჟებულან იმ დროს, როცა ერთი "კაკო ყაჩაღი" მთელ რუსებს აჯობებს სამართლიანობით.

რუსის ცხოვრებამ, რუსის სკოლამ, რუსის ყაზარმამ და სატუსაღო-ჟანდარმერიამ ჩვენს მეცნიერულ აზროვნებაშიც შეიტანა არევ-დარევა და იმდენად დაგვაშორა ქართველობას, რამდენა-

დაც დაშორებულია თვით დღევანდელი რუსეთიც კი ქართულ სინამდვილეს.

მარტო ბრმა და ყრუ, ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი – მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთის ვითარების სიცხადე.

მაგრამ დღევანდელმა განსაცდელმა დაგვანახა, რომ ეროვნული სული არ ჩამკვდარა ჩვენს ხალხში, მასაში.

ეს დღე დიდად უბედური მტრის მოგერიებამდე, ხოლო ბედნიერი ამ მტრის უკუგდების შემდეგ, თავდები უნდა იყოს ჩვენში ახალი ხანის დაწყებისა. ამიერიდგან იწყება ახალი საქართველო.

ამიერიდან ჩვენ ორი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი:

საუკუნო განადგურება საქართველოს მტრებისა, აღმოფხვრა ქართველის გულიდან რუსულ მონურ ნაშთებისა და გაწმენდა საქართველოისა ისეთი უცხო ელემენტებისაგან, რომლებშიაც ქართველი ერის განსაცდელის ჟამი მხოლოდ სიამოვნებას იწვევს.

ეს ასე უნდა მოხდეს. ამას მოითხოვს საქართველოს მშრომელთა კლასის სასიცოცხლო ინტერესები.

ყოველი საქმე, ყოველი დაწყობილება, ყოველი მოძღვრება, ყოველი იდეა ჯერ უნდა გატარდეს, გადაიხარშოს ერის სულსა და გულში და მერე ისე გაკეთდეს და გავრცელდეს ხალხში, ბალშევიკური იდეია კი დიდი ხანია დაგმო ქართველმა ერმა, მაშ რად ახვევენ მას თავზე თოფ-ზარბაზნების საშუალებით?!

გაუმარჯოს საქართველოს მთლიანს, სამართლიანს, მშრომელს და განათლებულს.

გაუმარჯოს სამშობლო საქართველოს, რომელიც არ მოინდომებს სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების აშენებას, მაგრამ რომელიც არც სხვას მისცემს ნებას რომ მის უბედურებით გაბედნიერდეს.

ძირს! ბოლშევიკური იმპერიალიზმი.

სასწავლო სროლა

მოქალაქეთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ახლად გაწვეულ ჯარის კაცთა შესასწავლად სანიმუში სროლა ქ. ტფილისში გაგრძელდება 25, 26 თებერვალს.

გმირთა ხსოვნას!

"ო, სიკვდილო ამპარტავანო! შენ საუკუნო სადგომში რა ნადიმს იმართავ, რომ ერთის დაკვრით სპობ სიცოცხლეს იმდენ დიდებულთ".

უ. შექსპირი

ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც დამძიმებული გულით პირველად ვნახე გაჭრილი სამარე, რომელსაც უნდა ჩაენთქა სამშობლოსათვის თავდადებული ლომ-ვაჟკაცნი.

ო, რა საშინელი სანახავი იყო ეს. მაგრამ ამასთანავე დიდებულიც.

ამ დღეს ჩვენი მშობელი დედა-მიწა გულში იხუტებდა თავის პირმშო შვილებს.

ამ დღეს მთელი ქართველი ერი დათალხული გუნდრუკს უკმევდა ბრძოლის ველზე დახოცილ გმირებს და უგალობდა თავის მძიმე სულთათანას.

კაეშნიანი და შავებში დაძაბული ხალხი მისტიროდა თავის ღირსეულ შვილებს და თავის ჭირსაც სამუდამოდ მათთან ერთად მიწას აბარებდა.

საქართველოს ლურჯი ცა დაყმენდილი იყურებოდა ძირს. მზეს ბრწყინვალება დაჰკარგოდა.

ტაძრების სამრეკლოებთან კვნესა მოისმოდა. ამ კვნესას თანამოზიარედ უნდოდა გაეხადა მთელი ბუნება.

ძვირფასი ქუჩა, რომელიც ძვირფას სახელს ატარებს გაივსო ძვირფასს კუბოებით!

რა ამბავია საქართველოს თავს?

ვინ შესძღვნა ეს დიდება მას?

შავმა მაკარბმა სახა ეს თუ ჯოჯოხეთმა წყეულმა?

ამპარტავანი სიკვდილია თუ ქორწილი გაჩაღებული?

შავ ბედის გზით მიმავალნო! ხმა ამოიღეთ, გვითხარით თქვენი ამბები. ადრე გამწყრალხართ საქართველოზე. სად მისდიხართ ასე ერთად, ერთგულად შეთქმულნი?

იქნებ ისწრაფით წინაპართა, აჩრდილ გარდასულთ ხილვას? მაშ თუ ასეა – უამბეთ:

საქართველოს გამარჯვება.

თქვენ თვით გამარჯვებულნი წარსდექით მათ წინაშე და მათთან ერთად მიიღეთ უკვდავების სახელი.

უთხარით რომ ქართველი ერი აღსდგა და დაამსხვრია მონობის ბორკილი. საქართველო ისევ ძლიერია და მაგარი.

საქართველო დაიცავს თქვენ ძვირფას ხსოვნას.

ძვირფასი ასოებით შეამკობს თქვენ სახელს ისტორიის ფურცლებზე.

აქ გაჭრილ სამარეზე აღიმართება ძეგლი სამარადისო და ზედ გამოიჭრება წამების ჯვარი, როგორც სიმბოლო საქართველოს მრავალ ტანჯვის.

საქართველო მრავალტანჯულა, მაგრამ ტანჯვით გაიკაფის გზა მომავლისკენ.

ტანჯვით მოიპოებს ადამიანი ბედნიერებას და ტანჯვითვე ამაღლდება და განდიდდება.

დღეს ბევრი ცრემლი დაიღვრება თქვენ ძვირფას საფლავზე, ბევრი ქართველურად ატირდება და ან კი როგორ შეიძლება რომ არ ატირდეს ქართველი, რომ გაიგებს ქართულ სულთათანას?

ვინც რა გითხრათ, ყველაზედ კარგად ეს გაიგეთ ძვირფასნო:

დიდებულია ქართველი ერი, როგორც დიდებულია მისი რეკვიემი - სულთათანა...

3·ბ·

დაჰკა კახელო!

კახელნო, მტრის თავზარდამცემნო, გულადო და მამაცნო გლეხებო! შენ მტერი შემოგესია. სასტიკი და დაუნდობელი მტერი.

აიღე ხელში იარაღი და დაიცავი შენი ქვეყანა.

მთელი საქართველოც შენთან იქნება, დაიძრა შენსკენ გმირი და მამაცი საქართველოს შეიარაღებული მხედრობა.

აქ უკვე საქმეს ათავებენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების დამცველნი არწივნი.

ტფილისი გადაარჩინეს მტრის შემოსევისაგან. მტერს "ვაი დედა" აძახეს ეხლა უკან მისდევს და ყიჟინას სცემს. მობრუნდება თუ არა ჩვენი ძლიერება, პირს კახეთო, შენსკენ იბრუნებს და წამოვა გამალებული. შენ მხოლოდ ზურგი გაიმაგრე, ცრუ ხმებს ნუ აჰყვები და მალე შენ მტერი დაგელიოს როგორც მალე დაელევათ დღენი მშიერ მაწანწალებს.

კახელო! ბევრი მოგითმენია, ცოტაც კიდევ მოითმინე და სამუდამოდ გაასწორებ შენს მტერს მიწასთან.

შენ წინააღმდეგ წამოვიდა ველური ხალხი. მათ არა სწამთ ჩვენი საკუთრება. ფარისევლობით მოდიან და გპირდებიან "სამოთხეს", მაგრამ ხომ ხედავ მათი "სამოთხე" როგორია!

წინაპრების ანდერძი არ გატეხო, კახელო შენი ხმალი მიუშვირე შენ მტერს და აჰკუწე ის.

ვიცით შენ სისხლი არ გინდა და ნურც შეაღებინებ ალაზნის ველს შენი სისხლით.

დადგა დრო შენი გამარჯვების. ისახელეთ თავი კახელნო და მტერს ნუ გაახარებთ. დაუმტკიცეთ, რომ შენ ხელჩართულ ბრძოლაში ჩვენთან, მთელ საქართველოსთან ხარ.

შენ ხომ გული ხარ საქართველოსი, მაშ გული მაგრად შეინახე.

მაშ მედგრად კახელო! დაჰკა მტერს. მთელი საქართველოც შენთან იქნება.

საქართველოს ხალხთა ლიგის თავმჯდომარის მიმართვა

რადიოთი პარიზში ერთა ლიგის თავმჯდომარეს ლეონ ბურჟუას, ასლი ალბერტ ტომას.

საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაესხა თავს საქართველოს რესპუბლიკას ღამით, ამოხოცა მძინარე ჯარისკაცები და ოფიცრები და ყოველი მხრიდან შემოგვიტია. ვერაგი მტერი ამას არ სჯერდება - ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ესვრის ტფილისს.

მივაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს, რათა ევროპის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცველად ველურთა ურდოებისაგან.

ქართველი ხალხი კი თავის მხრივ საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას შეურყევლად აქვს გადაწყვეტილი სამშობლოს დაცვა წითელი ბარბაროსებისაგან. ის იარაღით ხელში ბრძოლის ველზე გასული, თავს დასდებს იქ, მაგრამ თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოს არ დასთმობს.

საქართველოს ხალხთა ლიგის საზოგადოების თავმჯდომარე ლომთათიძე

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეიტის თავმჯდომარე ჰაიდარ ბამმატმა გაგზავნა შემდეგი რადიო:

ანგორა, პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ვარშავა, ჰელსინგფორსი, რიგა, რეველი

საგარეო საქმეთა მინისტრს

1921 წ. 17 თებერვალს ტფილისში შესდგა ადერბეიჯან-ჩრდილო კავკასიის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა ჩრდილო-კავკასიის და ადერბეიჯანის რუსეთის ბალშევიკური ოკუპაციისაგან განთავისუფლება, ჩრდილო-კავკასიისა და ადერ-ბეიჯანის რესპუბლიკების აღდგენა კავკასიის კონფერენციის სა-ხით.

საქართველოს მთავრობის მიერ ჩრდილო კავკასიის და ადერბეიჯანის ხალხთა ერთად-ერთ ნების გამომხატველად აღი-არებული კომიტეტი შეუდგა აქტიურ მუშაობას.

კომიტეტის შემადგენლობა ასეთია:

თავმჯდომარე ჰაიდარ ბამმატი, - ჩრდილო კავკასიის რეს-პუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

თავმჯდომარის მოადგილე მუსტაფა ვექილოვი, - ადერბე-იჯანის რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი.

ალიხან კანტემირი, - ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად ნამყოფი ადერბეიჯანში და ჩრდილო კავკასიის დაცვის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ახმედ ცალიკოვი, - ჩრდილო-კავკასიის და დაღესტნის სა-კავშირო მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე.

ბაგირ რიზაევი, - ადერბეიჯანის პარლამენტის წევრი.

ფესტი ბეი.

პარტიული შემადგენლობა ბამმატი – დამოუკიდებელი სოციალისტი, მუსტაფა ვექილოვი – მემარცხენე მუსავატელი, ალიხან კანტემირი – დამოუკიდებელი სოციალისტი, ბაგირ-რი-ზაევი - სოციალ-დემოკრატი, ფეხტი ბეი – უპარტიო.

ბაგირ რიზაევი, როგორც ადერბეიჯანის წარმომადგენელი, კომიტეტში შედის დროებით ("ნეზ. კავ.").

რუსეთის კატასტროფული მდგომარეობა

სიმშილმა რუსეთში ისეთი საშინელი ხასიათი მიიღო, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა დახმარებისთვის თხოვნით მიემართა მცხოვრებლებისათვის. საბჭოთა რადიო ემუდარება მათ: "მუშებო, დაეხმარეთ მშიერ ხალხს. მშიერი გლეხები უცდიან თქვენს შველას. მილიონ ნახევარი სოფლის ბავშვები გემუდარება დახმარების გაწევას. ახალგაზრდებო, გაეშურეთ სიმშილის ფრონტზე მშივრებისათვის პურის მისაწოდებლად. აუცილებელია სათბობი მასალა, რომელიც არ არის და რომელიც უსათუოდ უნდა მოვიტანოთ მშივრებისათვის საჭმელის მოსამზადებლად. მოსჭერით და დააპეთ, რაც კი შეიძლება, სანამ გვიან არ არის. სათბობი მასალის კრიზისის მოსპობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მასიურ რაინდულ ძალის ამოძრავებას. მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს სათბობი მასალის და სიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მხოლოდ გამძლეობა გადაარჩენს მშრომელთა კლასს რესპუბლიკის საშინელ მტერთან სამეურნეო არევ-დარევასთან ბრძოლაში.

ექიმთა მობილიზაცია

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ექიმთა მობილიზაცია 40 წლამდე მთელ რესპუბლიკაში. პირველ დღეთ დანიშნულია 25 თებერვალი.

ამიტომ გაწვეული ექიმები უნდა გამოცხადდნენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, სახლი თამამშვილისა) დილის 9 საათზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ბალშევიკების გაქცევა სომხეთიდან (რადიო ერევნიდან)

ბალშევიკებმა გაქცევისას თან წაიღეს დიდძალი ოქრო, ვერცხლი – ვალიუტა, ას მილიონობით სომხური მანათები, სამი

ტომარა საბჭოთა ფული, რვა ვაგონი ხორბალი, შაქარი, რძე, კონიაკი და ერბო. ბალშევიკების ცენტრალური კომიტეტის შენობაში ნახეს ნიშნები ლოთობისა. ნაპოვნია ბევრი სავალიუტო საქონელი. მაზრებიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები სოფლებისა და ჯარების აჯანყებისა ბალშევიკების წინააღმდეგ. სამშობლოს მტრისაგან განსათავისუფლებლათ დაშნაკცუტიუნის პარტიამ მობილიზაცია გამოაცხადა პარტიის ყველა წევრებისა, მოუწოდებს ყველას მომაკვდინებელ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ქალაქის საბჭომ განაახლა მოქმედება. ობლებს ბალშევიკები არ ჰკვებავდნენ. ბალშევიკების დროს სატახტო ქალაქი მათხოვრებით და დამშეულ ობლებით სავსე იყო. ახლა ობლები დანაწილებულია თავშესაფრებში. ცნობას, რომ საფრანგეთი საქართველოს ეხმარება და საქართველომ გაიმარჯვა სატახტო ქალაქი აღტაცებით შეხვდა. ოფიციალური გაზეთი მოუწოდებს ლორისა და ყაზახის გლეხებს მიატოვონ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ბალშევიკების რაზმები და დაიწყონ ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. სამშობლოს დამხსნელმა კომიტეტმა დაადგინა: ის მხედრები, სომხები თუ რუსები, რომლებიც ჯერ წინააღმდეგობას უწევენ სომხეთის მხსნელ კომიტეტის ჯარებს, თუ ამ მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ მიატოვებენ ბალშევიკების რაზმს და გადავლენ სომხეთის მთავრობის მხარეზე, - შეიწყნაროს, სასჯელისაგან გაანთავისუფლოს და დააბრუნოს თავის ძველ სამსახურის ადგილზე.

კახეთი

საკ. კორესპ.

მტერი... კახეთსაც შეესია. სიღნაღის მაზრაში... უგნური ბრბო. მდიდარ და ნაქებ კახეთში მტერი გახარებული დანავარდობს და რაც ხელში ხვდება ნთქავს. ეს უფრო აძლიერებს კახეთის ხალხში წინააღმდეგობას მტრის მიმართ. უკანასკნელ ცნობებიდან როგორც სჩანს მტერს აჯანყებია სიღნაღის გარშემო მდებარე ყველა სოფლები და პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებს.

ბალშევიკები კახეთში ვერაგულად შესულან პროვოკატორული ხმების გავრცელებით: "ტფილისი ჩვენია და თქვენც დაგვნებდითო". ეს მტარვალნი, სადაც ფეხს შესდგამენ ყველგან სიცრუით და მზაკვრული გზით უნდა გაიყვანონ თავიანთი საქმენი.

კახეთს მტერი დაეცა, მაგრამ კახეთი ნაჩვევია მტრის შემოსევას. კახეთს ზურგი გაუმაგრეთ მხოლოდ და გული გაუკეთოდ. ჩვენი კახელები მალე მიხვდებიან მტრის ვერაგობას. მძარცველთა ბრბოს განსადევნად მთელი კახეთი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი გამოვიდა საბრძოლველად, მხოლოდ საჭიროა მეტი სამხედრო ძალები.

ტფილისისათვის კახეთს დიდი მნიშვნელობა აქვს. კახეთი ხომ საქართველოს ბეღელია.

მტერს მეტად ძვირფასი კუთხე გამოუნახავს და ამ კუთხის დაზარალებით დაზარალდება მთელი საქართველოც.

მობილიზაციის შესახებ. შესწორება

შეცდომით დაბეჭდილი იყო: "თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა რესპუბლიკის მოქალაქეთა მობილიზაცია და სხ." უნდა იყოს: თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა მობილიზაცია ქ. ტფილისის და ტფილისის მაზრის მოქალაქეთა 19-დან 40 წლამდე.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ არავის არავითარი შემოწირულების აკრეფის უფლება ფრონტის საჭიროებისათვის ნივთების სახით არა აქვს თუ მას არ ექნა კომიტეტის რწმუნებულება, ნებართვა, მანდატი და შესაფერი შემოწირულების სარეგისტრაციო წიგნაკები.

ყველას ვსთხოვთ ვინც ამის საწინააღმდეგოს ჩაიდენს ის იქნეს წარმოდგენილი ფრონტის კომიტეტის კანცელარიაში, სასახლეში, მისი ვინაობის გამოსარკვევად.

ნივთებით შემოწირულებანი ყველას თვითონ შეუძლია მიიტანოს ყოველთვის სასახლეში ფრონტზე გასაგზავნად, ეს ცხადდება ყველა არსებულ ორგანიზაციებთან შეთანხმების მიხედვით.

ფრონტის გამგეობის პრეზიდიუმი

ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტფილისში თავისუფლათ შეიძლება შემოტანა და გაყიდვა ყოველ გვარ სანოვაგისა და არავითარ შიშს არ აქვს ადგილი.

ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობა მიმართავს ტფილისის ახლო-მახლო სოფლებს და აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც შემოჰქონდათ ქალაქში სანოვაგე, განაგრძონ ჩვეულებრივად სურსათის ქალაქში შემოტანა და ნუ დაუჯერებენ სხვა და სხვა პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ქალაქში რეკვიზიციის საშუალებით ართმევდნენ სურსათს და სხვა.

ქალაქის გამგეობა თავის მხრივ გაუწევს ყოველგვარ დახმარებას იმათ, ვისაც შემოაქვს ქალაქში სურსათი.

—

შემჩნეულია, რომ მო ქალაქეებს ეშ ინიათ რა სა ნოვაგის კრიზისისა, ყიდულობენ საჭიროებაზე მეტ სანოვაგეს და ამნაირად აკეთებენ თადარიგს. ამის გამო ხშირად სანოვაგე არ ჰყოფნის ყველას და ბევრი მოქალაქე სრულად ხელ-ცარიერი რჩება.

სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ასეთ შიშს საფუძველი არ უნდა ჰქონდეს.

სანოვაგის შემოტანის მხრით ერთხან შეფერხებული მდგომარეობა უკვე გამოსწორდა, განსაკუთრებით ფრონტზე ჩვენი გამარჯვების შემდეგ. მცხოვრებლებს თანდათან შემოაქვთ ქალაქში სანოვაგე.

გარდა ამისა, მიღებულია ზომები, რომ რკინის გზით სურსათი დაუყოვნებლივ შემოდიოდეს ტფილისში.

აუწყებს რა ამას მოქალაქეებს სასურსათო განყოფილება წინადადებას აძლევს მოვაჭრეებს არავითარ შემთხვევაში არ იქნას გაყიდული არავისზე დღიურ საჭიროებაზე მეტი სანოვაგე, ხოლო მცხოვრებლებს სთხოვს შეიძინონ ყოველ დღე სანოვაგის მხოლოდ საჭირო რაოდენობა.

რაც შეეხება პურს, ის უნდა მიეცეს დღეში არა უმეტეს 5 გირვანქისა მყიდველს.

ის მოვაჭრეები, რომლებიც დაარღვევენ ამ განკარგულებას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

სავაჭრო-სასურსათო საზედამხედველოს ევალება თვალყური ადევნოს ამ განკარგულებას ცხოვრებაში გასატარებლად.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ყალბი ბონები

ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენი მტრების - ბოლშევიკების მიერ აუარებელი ყალბი ათას მანეთიანი ბონები იბეჭდება კავკავში და ს. ნაზრანში, რომლებსაც სხვა და სხვა საშუალებით ეზიდებიან საქართველოსკენ.

ამ ყალბ ბონების დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: პირველ გვერდზე, სადაც არაბული ციფრით აწერია 1000 ამ რიცხვის ქვევით ყალბ ბონებზე სწერია: ბონისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავი ქონებით,, ხოლო ნამდვილ ბონებზე სწერია: მთელი თავისი ქონებით. ამავე გვერდზე ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის ხელის მოწერა შემდეგნაირად არის გამოსახული: ასო კ-ნის ზევით დასმული აქვს წერტილი, ხოლო ნამდვილ ბონზე ასო კ-ნის მარჯვნივ ქვევით ასვია წერტილი. მეორე გვერდზე, სადაც რესპუბლიკის გერბია გამოხატული ამ გერბის ქვევით ყალბ ბონზე აწერია: დაიაჯება სისხლის სამართლის წესით, ხოლო ნამდვილ ბონზე სწერია: დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

ცენტრალური სასანიტარო საბჭო

15 თებერვლიდან დაარსდა თავდაცვის საბჭოს სანქციით რესპუბლიკის ცენტრალური სასანიტარო საბჭო, რომელიც განაგებს ყველა სამკურნალო დაწესებულებებისა და საფრონტო ორგანიზაციების საქმეს.

საბჭოში შედიან ტფილისში არსებული ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და წითელი ჯვრის საზოგადოება.

საბჭომ გამოჰყო აღმასრულებელი ბიურო: წითელი ჯვრის თავმჯდომარის, ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორის, გვარდიის სასანიტარო ნაწილის უფროსისა და სამხედრო სასანიტარო სექციის უფროსის შემადგენლობით.

მიღებულია ყველა ზომები სასანიტარო და სამკურნალო დაწესებულებების საქმეთა გასაფართოებლად. წარგზავნილია ფრონტზე წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ 16 საექიმო რაზმი, დაარსებულია საევაკუაციო პუნქტები, მოწყობილია ტრანსპორტი დაჭრილთათვის და დაავადმყოფებულ სამხედრო პირთა სწრაფი ევაკუაციისათვის.

პროვინციებში, განსაკუთრებით ქ. სოხუმში – დიდი მუშაობა სწარმოებს სასანიტარო და სამკურნალო საქმის მოსაწყობათ.

ყველა დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს (ცირკულიარი)

თანახმად მთავრობის ამა წლის 25 იანვრის დადგენილებისა, ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთა იმ ადგილებში, სადაც არ არის მოწყობილი მუშათა მაგიდები და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც მომარაგება დროებით შეწყვეტილია, სურსათ-სანოვაგის მაგიერად უნდა მიეცეთ ფულად დღიური ჯამაგირის 1/30 რაოდენობა დღეში.

დაწესებულებები და წარმოებები ადგენენ ამ ფულის მოთხოვნის უწყებებს წინასწარი რევიზიისთვის სახელმწიფო კონ-

ტროლში, რის შემდეგაც ხაზინა ანაღდებს მათ სახელმწიფო შემოსავლის თანხიდან.

სურსათ-სანოვაგის სამაგიერო ფულის გამოანგარიშება უნდა მოხდეს ძირითადი ჯამაგირიდან ყველა შემდეგი მომატებით, გარდა ამა წლის 8 თებერვლის დეკრეტით მიღებულ მომატებისა.

შრომის მინისტრის ამხანაგი ალ.ბახტაძე

გენერალ-გუბერნატორის ბრძანება

№ 17

ვინაიდან შემჩნეულია, რომ რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურენი და რკინის გზების მილიციის მოხელენი განზრახ არ უფრთხილდებიან ქალაქთა და დაწესებულებათა ნივთებს და ბარგს და მის გამო ბლომად იკარგება ნივთები, ამისათვის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ საქმეში ვაკისრებ თვითონ მოსამსახურეთ და რკინის გზის მილიციას. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სამხედრო წესების მიხედვით.

—

გზათა მოძრაობის მინისტრი გვატყობინებს, რომ უწყებები და დაწესებულებები ვაგონებს ტვირთავენ რამოდენიმე დღის განმავლობაში. ეს ხელს უშლის მოძრაობის საქმეს და აფერხებს ევაკუაციას. ამიტომ წინადადებას გაძლევთ რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოთ ვაგონების დატვირთვა და გაგზავნა დანიშნულ ადგილზე.

№ 18

შესდგეს დამფუძნებელი კომისია თფილისის გამგეობის წევრის ბესელიძის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებად შევლენ მილიციის წარმომადგენელი, მილიციის უფროსის დანიშვნით და მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი მინისტრის დანიშვნით. ამ კომისიის ვალდებულება იქნება ყველა იმ

სურსათ-სანოვაგის შეკრება, რასაც რეკვიზიციას უზამს მომარაგების სამინისტრო.

№ 19

განთავისუფლებულია, თანახმად მთავრობის დადგენილებისა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის მოვალეობისაგან და სრულიად სამსახურიდან შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე მისი აფხაზეთის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ დანიშვნის გამო.

№ 20

ინიშნება: თანახმად მთავრობის დადგენილებისა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი სიმონ პეტრეს ძე გეგელაშვილი (თავის თანამდებობაზე დატოვებით), იმ უფლების აღჭურვით, რომელიც მე მაქვს მონიჭებული მთავრობის და თავდაცვის საბჭოს მიერ.

გენ-გუბერნატორი ბ.ჩხიკვიშვილი

საქართველო ფეხზე სდგას

ბორჯომი. თებერვლის 21. ბორჯომის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, გამსჭვალული სამშობლოს გასაჭირით, განურჩევლათ ეროვნებისა ერთსულოვნათ აცხადებენ თავის თავს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში მთელი თავისი ქონებრივი და ფიზიკური შეძლებით, ღრმათ სწამს, რომ მთავრობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს სამშობლოს და საქართველოს. - მტრებს დღესაც კრწანისის ველზე გაეთხრება საფლავი ისე, როგორც ასოცი წლის წინათ ქვეყნის გამანადგურებელ შაჰაბაზე თფილისის მიდამოებში. უკანასკნელ გამარჯვებით აღფრთოვანებული, მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და მის შეიარაღებულ ძალას. მიტინგზე შეიკრიბა ერთ მილიონ ასი ათასი მანეთი ფულით, მრავალი ოქრო-

ვერცხლი და სურსათი, რაზმების და შემოწირულებათა შეკრება გრძელდება: ბორჯომის თავდაცვის კომიტეტი – კანდელაკი, ღლონტი, ხუნდაძე.

ბათომი. თებერვლის 22. ორთა ბათომის საზოგადო ყრილობამ, 20 თებერვალს მოისმინა რა მოხსენებები დამფუძნებელ კრების წევრის ისიდორე რამიშვილისა და გაიდარ აბაშიძისა საქართველოს ირგვლივ შექმნილ მდგომარეობის შესახებ, გამოსთქვამს თავის უდიდეს პროტესტს და ზიზღს საქართველოზე ვერაგულათ ბალშევიკური ჯარების თავდასხმის გამო, უსურვებს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას და მტრის სასტიკ დამარცხებას. ამასთანავე ყრილობა აღუთქვამს ამ ომში საქართველოს აღმოუჩინოს თანაგრძნობა და ყოველგვარი დახმარება. ყრილობის თავმჯდომარე უსუფ აბაშიძე.

სახელმწიფო სტამბა
რედაქტორის მოვალ. აღმ.
გრიგოლ მაჭავარიანი

გაზეთი „საქართველო“

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო

წელიწადი მეშვიდე. პარასკევი. თებერვლის 25. 1921 წელი

№ 44

ომი ბოლშევიკურ რუსეთთან!

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ არავის არავითარი შემოწირულებების აკრეფის უფლება ფრონტის საჭიროებისათვის ნივთების სახით არა აქვს თუ მას არ ექნა კომიტეტის რწმუნება, ნებართვა, მანდატი და შესაფერი შემოწირულების სარეგისტრაციო წიგნაკები.

ყველას ვსთხოვთ, ვინც ამის საწინააღმდეგოს ჩაიდენს ის იქნეს წარმოდგენილი ფრონტის კომიტეტის კანცელარიაში, სასახლეში, მისი ვინაობის გამოსარკვევად.

ნივთების შემოწირულებანი ყველას შეუძლია მიიტანოს ყოველთვის სასახლეში ფრონტზე გასაგზავნად. ეს ცხადდება ყველა არსებულ ორგანიზაციასთან შეთანხმების მიხედვით.

ფრონტის კომიტეტის პრეზიდიუმი

გენერალური შტაბის ცნობა. თბილისი. თებერვლის 24

თბილისის მიდამოებში

თებერვლის 23 დღემ ყველა მიმართულებით მშვიდობიანათ ჩაიარა.

მტრის ჰაეროპლანმა გუშინ ერთი ბომბი ჩამოაგდო უშედეგოთ. ტყვიის მფრქვეველის ცეცხლით მტრის ჰაეროპლანი განდევნილ იქნა და აქსტაფის რაიონისაკენ მიიმალა.

გაგრის ფრონტი

გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრა ესვრის ბოლშევიკებს.

ორი სტიქია

თებერვლის დღეებმა შარშან მთელი საქართველო მოულოდნელათ აატირა. მიწის ძვრამ რამდენიმე საათში გაანადგურა ქართლის დედა-ქალაქი – გორი და მისი მიდამოები და თავზარდაცემული ხალხი ერთ დღეს შიმშილსა და სიცივეს მიუგდო, მთელი საქართველო ფეხზე დადგა მაშინ და მოინდომა ბუნების სტიქიასთან ბრძოლა. არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი, რომ არ მიეტანა თავისი ქონება მოძმეთა საშველათ. სწორეთ წლის თავზე ქართლისა და მთელ საქართველოს გულს მოადგა მეორე სტიქია – მართალია ძალა ბოლშევიზმის არ უდრის იმ სტიქიას, რომელმაც გორი დაანგრია, პირიქით, არც კი შეიძლებოდა მისთვის სტიქიის დარქმევა ძალის მხრივ, მაგრამ მოულოდნელათ თავზე დაცემულ მტერს რომ გაემარჯა, მაშინ როგორც მშიერი კალიები გამოხრავდენ ჩვენ დედა ქალაქს და თბილისს უარესი დღე დაადგებოდა, ვიდრე გორს. მაგრამ განგებამ გასაჯა ქართლის ბედი და მოზღვავებული ბარბაროსების ურდოებს პირი აბრუნებინა უკან.

არასდროს ქართული ეროვნული სულის დაჭიმვა არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ამ დღეებში. ერმა იგრძნო უდიდესი საფრთხე და სტიქიურათ წინ დაუდგა.

ამ შემთხვევაში ტფილისი უდიდესი რევანში იყო გორისთვის. მთელი ქვეყანა შემდეგში გაიმეორებს ტფილისის დაცვის სიგმირეს და ეს ეპოქა უდიდესი იქნება საქართველოს ახალ ისტორიაში.

ამის შემდეგ შეიძლება მხოლოდ საქართველოს სტიქიაზე ლაპარაკი.

მოსკოვის კომისრებს ლენინს და ტროცკის რომ რომის იმპერატორების პათოსი მისცათ:

ორჯონიკიძეს და შულავერის რევკომს ეტყოდენ:

_ ვარრ, ვარრ, - რა უყავით ჩემ ლეგიონსო.

დამარცხებული ბოლშევიკების ლეგიონების ნახევარი დღეს ტფილისის მიდამოებში მკვდრები ჰყრია და სხვები კიდევ უცდიან სიკვდილს...

ფილიპე მახარაძე

შულავერში შ ემდგარა სა ქართველოს რევ კომი, რომლის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ ფილიპე მახარაძე. ბოლშევიკები ფილიპე მახარაძეზედ მუდამ დიდ იმედს ამყარებდნენ. არ გეგონოთ, რომ ფილიპე მახარაძეს ბოლშევიკები არ იცნობდნენ, კარგად იცნობენ და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბოლშევიკები ფილიპე მახარაძისთვის მხოლოდ საქართველოში იმეტებენ საპასუხისმგებლო და თვალსაჩინო ალაგს, რუსეთში კი ფილიპეს არავითარ დიდ თანამდებობას არ აძლევენ.

გავეცნოთ ფილიპე მახარაძეს. სწავლა-განათლებით, განვითარებით ფილიპე საშუალო ინტელიგენტზედ დაბლა სდგას. მას არ აქვს დიდი გონებრივი ჰორიზონტი, არც თუ ნიჭით არის დაჯილდოვებული. სამაგიეროთ პატივმოყვარეობა, ისიც წვრილმანი პატივმოყვარეობა, დიდი აქვს. ფილიპემ საქართველოში თავისი მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ ჟურნალ "მოგზაურ"-ში, რომელსაც იგი ჰრედაქტორობდა, ათავსებდა სხვადასხვა "ფილოსოფიურ" წერილებს საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, რომლის შინაარსი არავის ესმოდა, გარდა თვით ავტორისა. პირ-

ველად ყოვლისა მან მიზანში ამოიღო ილია ჭავჭავაძე და თავის ჟურნალში ამ დიდებულ ადამიანზედ ათავსებდა სხვადასხვა ქუჩურ ჭორებს, რამაც იმსხვერპლა ილია. ფილიპე მახარაძეს ჩვენი სათაყვანებელი ილიას სისხლით აქვს ხელები გასვრილი, და დღეს ეს უღირსი, ნაძირალა შვილი საქართველოსი, ჩვენ ბედნიერებას გვპირდება. ილიას მოკვლის შემდეგ ფილიპე გადავიდა ბაქოში და ახლა იქ დაუწყო ქართულ ჟურნალს გამოცემა.

უკანასკნელ რევოლიუციის შემდეგ ფილიპე პირველი გადავიდა საცხოვრებლად სასახლეში, მაგრამ ერთი თვის შემდეგ იგი იქიდან გამოაძევეს და ფილიპე იძულებული იყო ემსახურა თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში. როცა ამ კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკო ელიავა გადავიდა თბილისის ქალაქის თავად, ფილიპეს ეგონა რომ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ მას დანიშნავდნენ, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. აქედან იწყება მისი ოპოზიციაში გადასვლა. სასურსათო კომიტეტში ის ამოირჩიეს სასოფლო სამეურნეო აღწერის ხელმძღვანელად. ფილიპე მახარაძე თავის თავს სტატისტიკოსად სთვლიდა. მაგრამ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ აღწერაში ის დამეთანხმება, რომ ფილიპეს სტატისტიკოსობისა არა გაეგეობოდა რა. ფილიპე სათამაშო ბურთად გადაიქცა ქართველების მოძულე ავდეევის, მერხალევის და ვიღაცა ურია ქალის ხელში. ავდეევი და მერხალევი ჩვენმა მთავრობამ შემდეგ გააძევა, როგორც საქართველოს მტრები. და ფილიპეს ისე ათამაშებდნენ, როგორც მათ მოეპრიანებოდათ. ნებისყოფის ნასახიც კი ფილიპეს არ გამოუჩენია. თქვენ უბრალო ანგარიშები აიღეთ. აღწერაზედ დიდძალი ფული დაიხარჯა, სასურსათო საგუბერნიო კომიტეტი ფილიპეს წელიწადზედ მეტი ეხვეწა, აღწერაში დახარჯულ ფულის ანგარიშები წარმოადგინეო და ფილიპე მახარაძეს ეს ანგარიშები დღესაც კი არ ჩაუბარებია.

როცა სასოფლო სამეურნეო აღწერა დასრულდა, მასალების დამუშავებაც ფილიპემ იკისრა. მან დაიქირავა მოსამსახურეების

დიდი შტატი – მეტ ნაწილად ბოლშევიკები, სომხები და რუსები (მათ შორის კუზნეცოვის ცოლი, იმ კუზნეცოვისა, რომელიც რუსის ეშელონებს თბილისის დასანგრევად აქეზებდა). ამ მოსამსახურეებს აძლევდნენ ჯამაგირებს და საქმე კი არაფერი გაკეთებულა. თვით ფილიპეც ნახევარჯერ არ იყო სამსახურში. ლაპარაკობდნენ ფილიპე იმალება. მთავრობას იმის დაჭერა უნდაო. ჯამაგირს კი ძალიან წესიერად მიიღებდა ხოლმე. როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ფილიპე სულ კბილებს იგლეჯდა. რა საჭიროა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ თუ სული გვიდგია, ისევ რუსეთითო. დამოუკიდებლობის შემდეგ სამსახურში აღარ უვლია, თუმცა ჯამაგირს მუდამ წესიერად იღებდა ხოლმე. ერთ დღეს ფილიპე სამსახურში მოვიდა, წვერ-ულვაში სულ მთლად გაეკრიჭა, ვერავინ იცნო. ჩუმი ხმები დადიოდა ფილიპე საქართველოში მალე დიდ თანამდებობას მიიღებსო. არ გასულა რამდენიმე დღე და აჯანყდნენ ოსები, ბოლშევიკებიც მოაწვნენ საქართველოს, მაგრამ დამარცხდნენ. ფილიპემ მიიღო ჯამაგირი და თავის ცოლშვილით გადასახლდა კავკავში. კავკავის საბჭოთა მთავრობა იმ დროს დიდ განსაცდელში იყო. ჩრდილოეთიდან მათ დენიკინი უახლოვდებოდა. მინისტრად არავინ დგებოდა და სწორედ ამ უმინისტროობაში ფილიპეს შეაძლიეს ფინანსთა მინისტრობა, რაზედაც ის დიდის სიამოვნებით დასთანხმდა.

ერთი პატარა ხაზი ფილიპეს პატივმოყვარეობის დასახასიათებლად. როცა კავკავის მთავრობის სხდომა დიდხანს გაგრძელდებოდა ხოლმე ზოგიერთი მინისტრები სტოვებდნენ ხოლმე სხდომას და გადიოდნენ, რაზედაც ფილიპე მუდამ პროტესტს აცხადებდა. მაგრამ თუ ამ დროს მთავრობის თავმჯდომარეც გავიდოდა და სთხოვდა რათა ფილიპეს გაეწია თავმჯდომარეობა, ფილიპე გაჩუმდებოდა და დიდის კმაყოფილებით თავმჯდომარეობდა, თუნდაც სულ ორი მინისტრი დარჩომილიყო კრებაზედ. საზოგადოთ, კავკავში ფილიპეს მასხარად იგდებდენ ხოლმე და არავითარი გავლენა ფილიპეს არა ჰქონია.

ამისთანა ტაკიმასხარას გვაძლევენ ჩვენ ბოლშევიკები მინისტრად. თვითონ დაისვან რუსეთში მინისტრად. გზი მშვიდობის ჰქონდეს.

გ.

ფრთოვანი ლომები

ფრთოვანნო ლომნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და
ოროლნი და უგმირნეთ მტერთა ჩვენთა.

ჭაბუკი გმირი გიორგი მესამე სუფევდა ნაჭარმაგევს, სახლსა სალხინოსა. საქართველოს შემოესია აუარებელი მტერი, მოიცვა ის არე მარე, საცა დღეს ბრძოლაა. გიორგიმ იხმო დასნი: ზემონი და ქვემონი.

თითონ მსწრაფლ შეირტყა და წარემართა.

გარდამვლელი მთათა, ჩავიდა შირაკად.

ჯარი მცირე ჰყვანდა, უშლიდნენ შებმას ლაშქრის მოგროვებამდე, არ დაიშალა.

თავის რაზმს გასცა ღაღადი:

"ფრთოვანნო ლომნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და
ოროლნი და უგმირნეთ მტერთა ჩვენთა".

იწვია ლიპარიტ ამილახორი, ქირქიშ სურამელი და 3000 მეომარი, ღიმილით და სიცილით უთხრა:

"მოყმენო (გმირები), იგიცა ვსჯობთ, რომელმანცა უმოსწრაფეს უხეთქნეთ მტრის დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი უცხო თესლთა ამათ".

მყის მიესივნენ,
ვითა ფრთოსანი ლომები.
მტრის დროშა მედროშით დასცეს, დაანარცხეს,
მკლავითა აქილიანითა დაუტიეს,
ადინეს ღვარი სისხლისა
მცირეოდენი გაიქცა
ბუმბერაზნი დაედევნენ, კაფეს, ყარეს.

შემობრუნდნენ. ერმა დაახვედრა შილინგი, ეს იგი დიდი სასიხარულო ზეიმი, სროლითა, ნესტვითა და გალობით. იშვებდეს და იხარებდეს. იღიმოდეს და ამბორს უყოფდეს ურთიერთს.

მაგრამ გმირი გიორგი ამით არ დაკმაყოფილდა.

ტაო-კლარჯ-შავშნი მიუსია ოლთისს ბანას იქით მისადევარს. მესხნი და თორელნი კარისს (ყარსს) და აშორნიას. ამირსპასალარნი და სომხითარნი მტკვრის პირს განძამდის.

თვითონ ლიხთ იმერებით და ქართველებით გაეშურა განძის გამართებით, მტკვრის პირპირ ხოლთამდის.

ჰერნი და კახნი შეაყოლია ალაზნის შესართავით შარავანამდის.

ეს მანამდის გაუგონარი ლაშქრობა დაიწყო ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ჟამს.

ამოძრავდა მთელი საქართველო.
მგოსნის თქმისა არ იყოს, შეკრბა
"კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი,
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურულ სვან მეგრი მკვირცხლობით".
ყველგან გაიმარჯვეს.
ყველგან მტერი შემუსრეს.
ყოველნი იბრძოდნენ ქართველურ სიკვასკასით,
მამა-პაპურ სიმხნითა, სიჩაუქით.
მტერი ილეწებოდა და ასე ღრიალებდა:

"არა არს დღეს კაცი ქვეყანასა ზედა პირისპირ შემბმელი გიორგისი და ლაშქართა მისთა; მივრიდოთ და დავფარნეთ პირისა მათისაგან".

გაქცეულს მიაყრიდნენ ზოგი ისარს, ზოგი ქოქოლას.

უკეთურთაგან გაიწმინდა საქართველო.

მ.ჯანაშვილი

კათალიკოზის სიტყვა თბილისის მცხოვრებლებისადმი, თქმული სამხედრო ტაძრის ეზოში კვირას თებერვლის 20-ს

თვითეულს აქ მდგომთაგანს ნათლად და ცოცხლად გვეხატება თვალწინ ის ბნელი ჯოჯოხეთი და ყოველ ზომას აღმატებული უბედურობა, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს დედაქალაქს და მასთან ერთად მთელს ჩვენს სამშობლოს შაბათის განთიადს. ღამის ორი საათიდან დილის რვა საათამდე თოფზარბაზნების და ტყვიის მფრქვეველთა შეუწყვეტელმა თავზარდამცემმა გრიალმა აატირა, შეაშფოთა, გული შეუწუხა და შიშისაგან თავზე თმები აუშალა თბილისის მთელ ქართველობას.

მყრალი მტერი გვექადოდა აოხრებას, განადგურებას, გაუპატიურებას და სამარცხვინო უღლის დადგმას.

კულტურისან საქართველოს რჩეულმა შვილებმა – ქართველმა ჯარის კაცებმა – იგრძნეს სავსებით საბედისწერო დღის სიმწვავე, გააფთრებული ლომებივით თავგანწირვით ეკვეთნენ მოსულ კალია მტრის ჯარს და სამარე გაუთხარეს მას შეხლის ხაზზე. დიაცების მანდილი მოახვიეს მას თავზე, კურდღლებივით ჩამოლალეს თბილისის ქუჩებზე ყეყეჩი რუსი მუჟიკები. ცხრამეტი თებერვლის გამარჯვებით ჩვენმა ჯარმა სამარიდისო გვირგვინი დაიდგა მთელი განათლებული კაცობრიობის თვალში. უნდა ვიცოდეთ, რომ ქართველების ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ უცხოელები სიამოვნებით დაიმშვნებენ თავიანთ

ბინებს საქართველოს რუქათი, როგორც თითით საჩვენებელი გმირების აღმზრდელ ოქროს აკვნით.

დიაღ, მეტად დიდი მნიშვნელობისაა ჩვენი ჯარისაგან 19 თებერვალს ახლად აღდგენილ საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე გმირობის ეპიზოდის ჩაწერა, მაგრამ ამ ეპიზოდით საქართველო მაინც ჯერ კიდევ უზრუნველი არ არის მტრების მხრივ თავდასხმა-აკლებისაგან. დღესაც ისევ შეუწყვეტელად გაისმის თბილისის მიდამოებში მტრების ზარბაზნების გრგვინვა. ამიტომ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს მთელი ჩვენი ენერგიის, ქონების და სიცოცხლის მიტანას მამულის სამსხვერპლოზე.

მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთაურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მოვალენი ვართ მჭიდროდ გაერთიანდეთ მის გარშემო, დავივიწყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მორიგება.

ამ დიდებულმა მომენტმა გამოამჟღავნა, რომ მორწმუნე ქართველს ზეცისაკენ აქვს აპყრობილი ხელები და თვალები და ყ-დ შემძლე ღმერთსა სთხოვს, თავისი საყვარელი ჯარის ძალების განმტკიცებას და გაორკეცებას, ფრონტზე და ზურგში ყოველი მორწმუნე ქართველის გულიდან ამოქუხს:

"ღმერთო გვიშველე, ღმერთო ჩვენს ჯარს გამარჯვება მიანიჭე, ღმერთო საქართველო იხსენ განსაცდელისაგან" და სხვ.

დიდად საჭიროა, რომ ერის ლოცვა-ვედრებაც გაერთიანდეს, ამ სულიერი ძალის მობილიზაციაც მოხდეს, რომ ამით სამშობლოს მეტი სარგებელი შეეძინოს. სადაც ორი და სამია შეკრებილი ქრისტეს სახელით, იქ თვით ქრისტეც მათ შორის არის.

მაშ, დაუჭკნობელი დაფნის გვირგვინით შემკული ჩვენი ჯარის კაცების მამებო, დედებო, ცოლებო, დებო, ძმებო, შვილე-

ბო, მეგობრებო და ყველანო, ვისაც გული გტკივათ ჯარზე და მამულზე, ვინც ღმერთს ავედრებთ სამშობლოს და მის დამცველ ჯარს, ვალად დავიდგინოთ, სანამ მტერს საბოლოოთ დავამარცხებდეთ, ყოველ დღე შევიკრიფოთ ხოლმე ღვთისადმი საევედრებლად იმ ტაძრებში, რომელშიაც ხალხს ჩვეულება ჰქონია თავდადებული ჯარის დალოცვა, რომელშიაც ჩვენს სახელოვან მეფეებს და სარდლებს მრავალჯერ მიუღიათ ღვთის კურთხევა. აღვადგინოთ და გავაცოცხლოთ წასაბაძი მაგალითები თამარ დედოფლის, დავით აღმაშენებლისა, ქეთევან წამებულისა, ერეკლე გმირისა და სხვებისა. მხურვალეთ და გულმოდგინეთ შევავედროთ ხოლმე ჩვენი სამშობლო ხან აქ, ხან ქვაშვეთის ტაძარში, ხან სიონის ღვთისმშობლის ხატის, წმ. ნინოს ჯვრის და იოანე მანგლელის წმიდა საფლავის წინ, ხან ანჩისხატში, ხან დიდუბეში და ხან სხვაგან, სადაც თქვენ ინებებთ. ნურავინ ნუ დავაკლდებით ამ საჯარო ვედრებას, ყველანი ვეზიაროთ სახელოვან მამა-პაპათა საღმრთო ჩვეულებას და თან ამ ვედრებას შეუკავშიროთ ხვედრი წვლილის გაღება ჩვენი გმირი მცველების სასარგებლოდ.

ზეციურო ჩვენო მამაო, მუდმივი ძლევა გამარჯვების ბრწყინვალე შარავანდედს ნუ მოაკლებ ქართველ ჯარს!

იესო ტკბილო, აღაყვავე, გააძლიერე და განამტკიცე ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა!

ყ-დ წმიდა ღვთისმშობელო, ადიდე და აბედნიერე შენი წილხდომილი ქვეყნის შვილები! ამინ, ამინ, ამინ.

სრულად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი ლეონიდი

დედა-ქალაქის შთაბეჭდილებანი

24 თებერვალი

გუშინ დილა ადრიან მოქალაქენი შეაძრწუნა ზარბაზნების გრიალმა. მოსულ ცნობებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა ვაზიანის მიმართულებით ფრონტის შესასწორებლად.

მიუხედავად ზარბაზნების გრიალისა, მოსულ ცნობებმა, რომ პარიზსა და ლონდონში ჩვენი საქომაგო მანიფესტაციები მომხდარა, მოქალაქეთა გულს მოჰფინა შუქი სიხარულისა. სახლში დარჩენა არავის შეეძლო. ყველა მიეშურებოდა დამფუძნებელ კრების დარბაზის წინ, საცა ამ დროს უნდა გაეგო ნამდვილი ცნობები.

ამ დროისთვის მოქალაქეთა მზერას ატკბობდა მტრის ხელიდან დავლად გამოგლეჯილი 4 ზარბაზანი საუკეთესო სისტემისა. ზარბაზნებს მოქალაქენი ყურადღებით ათვალიერებდნენ.

ნაშუადღევის 12 ნახევარზე ზარბაზნების გრიალმა უკლო და ტფილისის ქუჩებზე ხალხი თავისუფლად გამოიშალა.

პროვინციიდან (ხაშურიდან და სხვა კუთხეებიდან) მოსულ სამხედრო ძალებმაც ეროვნულ სიმღერებით გაიარეს, გული სიხარულით გაიტაცეს საუკეთესო დღეებისკენ.

საფრანგეთის რადიო

საფრანგეთის პრესა აქვეყნებს ცნობებს, რომლის თანახმათ, სამი ბოლშევიკური დივიზიის შეტევა ტფილისის წინააღმდეგ ქართველებმა მოიგერიეს და საქართველოს სატახტო ქალაქი ამრიგად განთავისუფლდა.

მთავარსარდალი კვინიტაძე

გაჭირვების ტალეკვესიაო რომ იტყვიან, სწორედ ასეთია საქართველოს ლაშქრის მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე.

მოიგონეთ სომხეთის ომი, ამ ორი წლის წინად, ჩვენს სანაპირო რაზმებს მუხანათურად რომ დაეცნენ და პირველ შემთხვევაში ჩვენი ჯარი უკან იხევდა, დედაქალაქთან ერთად მთელი საქართველოს ბედიც ხიფათში იყო, გენ. კვინიტაძე მოიხმეს შტაბის ერთი ნაწილის უფროსად, რომლის შესანიშნავმა გეგმამ არა თუ სირცხვილისაგან გვიხსნა და ჩვენი ჯარი გამარჯვებისკენ წაიყვანა, უცხო ძალა რომ არ გადაგვღობებოდა, უდროო

ზავი არ ჩამოეგდოთ, საქართველოს ლაშქარი რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდა.

მაგრამ გამარჯვების დაფნით ველარ ვიამეთ!

მერმედ ახალციხის და ფოცხოვის რაიონებში მტერი სასტიკად დაამარცხა, თუმცა იქაც უეცრად იყო მიწვეული.

შემდეგში დაინიშნა იუნკერთა სასწავლებლის უფროსად.

შემდეგ ისევ მთავარსარდლად დაინიშნა კომუნისტების ხანაში და როცა სამშობლოს შფოთი მიწყნარდა, დასასვენებლად გადადგა.

და აი დღეს, როდესაც კომუნისტ ბოლშევიკთა შავ-ბნელმა ძალამ მიზნად დაისახა ჩვენი ქვეყნის დანგრევა, ჩვენი ჯარები დაქსაქსა, თბილისის კარებს მოადგა, რამაც ზოგიერთ სულმდაბალს გული გაუტეხა, ერთად ერთმა გენერ. კვინიტაძემ წარმოსთქვა:

- არა თბილისს ვერავის დავუთმობთ; მომეცით 48 საათის ვადა 20.000 ჯარის კაცი და მტერი შეიმუსრებაო, - ამჟამადაც გენერ. კვინიტაძეს მიმართეს.

და დაიწყო ჩვენი სწრაფი გადაჯგუფება. ისტორიას იშვიათად ახსოვს ასეთი ბრძოლა.

ზარბაზნის გრიალმა შეაზანზარა ჭაღარა თბილისი. მაგრამ კვინიტაძეს ეს თითქოს არაფრად მიაჩნდა.

- სუსტ ძარღვიანთა გასაღიზიანებლად ისვრიანო.

- ვაი თუ ომი წავაგოთ!

- როცა გაიგოთ, გენერ. კვინიტაძემ თავი მოიკლაო, მაშინ იგულეთ ომი წაგებულიაო.

და მთელი ერის გულისცემა მთავარ სარდალს შეუკავშირდა: მის სახეზე კითხულობენ ქვეყნის ვითარებას, მის საქციელით, მიმოხვრით იგნებენ გამოუცნობელ მომავალს.

- დღეს გენერ. კვინიტაძემ დაიძინა, - გაისმა ხალხში.

- სჩანს საქმე კარგად ყოფილაო...

დასძენდნენ სხვანი.

და მართლაც ერის წინათგრძნობა გამართლდა. საქართველოს ნორჩი ლაშქარი საყვარელი მთავარსარდლის ხელში გალომგულდა, სიკვდილს პირისპირ შეებრძოლა და მტერს თავხედობა შეანანა.

საქართველოს ნორჩმა ლაშქარმა თავის ცხოვრების მატიანეში კიდევ ერთი ულამაზესი ფურცელი ჩასწერა.

სახელოვან სამხედრო მოღვაწის შვილი, უმაღლეს სამხედრო აკადემიაში სწავლა-შემთავრებული, სამეომრო საქმეში გამობრძმედილი, დიდი სტრატეგი, გამჭრიახი მხედარი, პატრიოტი. ძლიერი ნების ყოფის ადამიანი, - აი გენერ. კვინიტაძე. იშვიათია სამხედრო პირი, რომლისაც ეგოდენი რწმენა ჰქონდეთ, რაოდენიც მისი.

- როცა გენ. კვინიტაძე მაგზავნის ამა თუ იმ სიმაგრის ასაღებად, სავსე რწმენით მივალ და ღრმად მწამს, რომ უეჭველად გავიმარჯვებთ! – ამბობს თითოეული სარდალი.

- კვინიტაძემ რომ მიბრძანოს, ცეცხლში გადავარდები და მწამს უნაყოფოდ არ დავიწვებიო, ამბობს ჯარის კაცი.

და დღეს, როდესაც გენ. კვინიტაძე პოზიციებზე გამოჩნდა, როდესაც ლაშქარმა დაინახა, რომ ჩვენი ბედი და ბედი ქვეყნისა კვინიტაძეს ჩაბარდაო, სულით დაცემული, გალომგულდა, და მტერს შეუტია: იუნკერი, ჯარისკაცი, გვარდიელი, - ერთი მეორეს ეცილება არა მე გამოვიჩინო გმირობა და ვაჟკაცობა, არა მე სამშობლოს სადიდებლადო.

ისტორია ვერ დაივიწყებს ქ. თბილისის მიდამოებში 5 დღე-ღამის გახურებულ ბრძოლასა და ამ ბრძოლის ერთ ბრწყინვალე პიროვნებათაგანს გენ. კვინიტაძეს.

ლაშქარი მოითხოვს – თუ ჩვენი გამარჯვება გინდათ, ნიადაგ კვინიტაძე უნდა გვიძღოდეს წინა და ჩვენც გამარჯვებით წინ ვივლითო.

ხმა ერისა – ხმა ღვთისაო!

გზა მშვიდობისა ჩვენს არწივებს და მათ ხელმძღვანელს.

ი.იმედაშვილი

გერმანული პრესა საქართველოს გამარჯვების შესახებ

გამარჯვება გამარჯვებაზე მოდის, სანამ 21 თებერვალს ბოროტი მტერი იძულებული იქმნა დაეტოვებია კოჯორი და მახლობელი სიმაღლეები, ამასთან ერთად ცნობა მოვიდა, რომ ამავე დროს სომხებმა მოიშორა ბოლშევიკური უღელი და იქ ახალი მთავრობა შესდგა.

დაბოლოს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოს გამარჯვება და სომხეთის გადაჭრილი ნაბიჯი გაიტაცებენ კავკასიის და სხ. ერებსაც და მათ ისეთი გრძნობა უნდა ჰქონდესთ, რომ "კომუნიზმი" აქედან გაიხვეტება.

ჩვენ მივედით გარდატეხის ხანამდე, ყოველ შემთხვევაში კავკასიისათვის, და სწორედ ამაშია ნამდვილი მნიშვნელობა ეხლანდელი დიდებული გამარჯვებისა, რომელიც მოიპოვა შეგნებულმა განუყრელობამდე გაერთიანებულმა ქართველმა ერმა.

ქიზიყის ფრონტი

"ერთობა" სწერს:

"საქართველოს ცენტრი გადაარჩინეს მისმა პერიფერიებმა. ცენტრისაკენ იყო მიპყრობილი მთელი ყურადღება, იქ მოგროვდა მთელი ენერგია. სწორედ იმ დროს, როდესაც თფილისს ალყა შემოარტყა მტრის ჯარმა, სწორედ ამ დროს საქართველოს ზოგიერთი განაპირა ადგილებიც გახდა მტრის შემოსევის მსხვერპლი. სიღნაღის მაზრა უკვე 5 დღეა გმინავს მტრის უღლის ქვეშ – საქართველოს ყველა ნაწილები მწვავედ გრძნობენ თავის მოძმის – სიღნაღის მაზრის უბედურებას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოთავებული ყველა საქმეები, რაც აუცილებლად საჭიროა თფილისის საბოლოოდ უზრუნველსაყოფად. ჯერ კიდევ სავსებით არ მოხდა თფილისის ფრონტის

ლიკვიდაცია. საქმე ბოლომდის უნდა იყოს მიყვანილი, მტერი მთლად უნდა იქნეს დაძაბუნებული და წელში გატეხილი, რომ მან მეორედ ველარ გაბედოს თფილისზე მოსვლა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მოკლე ვადის საქმეა:

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სიღნაღის მაზრის ყველაზე ახლო მეზობელი თელავი ემზადება თავის მოძმის დასახმარებლად. ცნობები მოდის, რომ სიღნაღში შესულ მტერს ზურგს უკან აჯანყებებს უწყობენ და თავს ესხმიან. როგორც კი ჩვენი ხალხი სულს მოითქვამს, როგორც კი მოშორებული იქნება ის დანა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ყელთან იყო მობჯენილი, თვით თფილისი და მასში ყველა კუთხეებიდან თავმოყრილი ერი მთელს თავის ყურადღებას გადაიტანს იმ ნაწილებზე, რომლებშიაც მტერია შემოსეული, უპირველესად კი კახეთისაკენ. კახეთის განთავისუფლება – ეს მთელი საქართველოს თავმოყვარეობის საკითხს შეადგენს ისევე, როგორსაც შეადგენდა თფილისის გადარჩენა".

საფრანგეთის მისიის დაბრუნება

გუშინ თბილისში დაბრუნდა ქუთაისისკენ მიმავალი სამხედრო მისიის უფროსი პოლკ. კორბეილი თავის შტაბით. იმავე დღეს პოლკოვნიკი კორბეილი სამხედრო ტაძარში დაესწრო სამშობლოსთვის თავდადებულთა დასაფლავებას.

ევროპის მუშათა დემონსტრაციები (რუსების თავდასხმის გამო თბილისზე)

საფრანგეთის მისიის ცნობებით პარიზში, ლონდონში მუშები ახდენენ დიდ მანიფესტაციას რუსი ბოლშევიკების ჯარების საქართველოზე ვერაგული თავდასხმის გამო. მუშები მოითხოვენ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს.

გარე-კახეთის ფრონტი

"ერთობაში" დაბეჭდილია შემდეგი:

"სოღანლუღის მიმართულებით უკუქცეული მტერი ყარაიაზის ველით კახეთში წასულა, აუვლია ვაზიანი, სართიჭალა და დიდ ლილოში გამაგრებულა. მტერი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ამით ის მთელ კახეთს, გარე კახეთს და ქიზიყს მოსწყვეტდა თფილისს და ამავე დროს დიდ-ლილოს მიმართულებით იგი თფილისს დაეცემოდა.

და აი ერთ საღამოს გამურულ ტანისამოსში, თოფით მხარზე "მუშათა ბათალიონი" ვაზიანის მიმართულებით გაეშურა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა შემდეგი გვიამბეს:

"მტერი გამაგრებული იყო დიდ ლილოში; იგი შესდგებოდა ქვეითა და ცხენოსანი ჯარისაგან, ჰქონდათ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები, ჩვენ მისვლისთანავე სანგრები დავიმზადეთ. დილით, გათენებისას ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის სანგრებს დაუშინა და შემდეგ ჩვენც შეტევაზე გადავედით. ჩვენმა ზარბაზნებმა მტერი სანგრებიდან ამოყარა და ჩვენმა "ურამ" მტერი გააქცია. ამ დილით ჩვენ რამდენიმე ვერსით წინ წავიწიეთ. მტერმა დატოვა მოკლულ დაჭრილნი. იმავ საღამოს შუაღამიდან მტერი შეტევაზე გადავიდა, ისროდნენ ზარბაზნით და ტყვიის მფრქვეველებით, მაგრამ ჩვენ თავდამსხმელნი უკუ ვაქციეთ: მტერს სამი მხრიდან შეუტიეთ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ გარე კახეთის გვარდია, "მუშათა ბათალიონი" და № 5 სამხედრო ნაწილი. ჩვენ ამ დილით მტერი სასტიკათ დავამარცხეთ, დავიკავეთ ვაზიანი, ლილო და მტერს ფეხდაფეხ დავედევნეთ. ჩვენის მხრით ზარალი მცირეა: მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს სამი".

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტი

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტის თავმჯდომარე ჰაიდარ ბაჰმატმა გაგზავნა შემდეგი რადიო:

ანგორა, პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ვარშავა, ჰელსინგფორსი, რიგა, რეველი

საგარეო საქმეთა მინისტრს

1921 წ. 17 თებერვალს ტფილისში შესდგა ადერბეიჯან-ჩრდილო კავკასიის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა ჩრდილო-კავკასიის და ადერბეიჯანის რუსეთის ბალშევიკური ოკუპაციისაგან განთავისუფლება, ჩრდილო-კავკასიისა და ადერ-ბეიჯანის რესპუბლიკების აღდგენა კავკასიის კონფერენციის სა-ხით.

საქართველოს მთავრობის მიერ ჩრდილო კავკასიის და ადერბეიჯანის ხალხთა ერთად-ერთ ნების გამომხატველად აღი-არებული კომიტეტი შეუდგა აქტიურ მუშაობას.

კომიტეტის შემადგენლობა ასეთია:

თავმჯდომარე ჰაიდარ ბამმატი, - ჩრდილო კავკასიის რეს-პუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

თავმჯდომარის მოადგილე მუსტაფა ვექილოვი, - ადერბე-იჯანის რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი.

ალიხან კანტემირი, - ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად ნამყოფი ადერბეიჯანში და ჩრდილო კავკასიის დაცვის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ახმედ ცალიკოვი, - ჩრდილო-კავკასიის და დაღესტნის სა-კავშირო მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე.

ბაგირ რიზაევი, - ადერბეიჯანის პარლამენტის წევრი.

ფეხრი ბეი.

პარტიული შემადგენლობა ასეთია: ჰაიდარ ბაჰმატი – და-მოუკიდებელი სოციალისტი; მუსტაფა ვექილოვი – მეცარცხენე მუსავატელი, ალიხან კანტემირი – დამოუკიდებელი სოციალის-ტი, ახმედ ცალიკოვი – სოციალ-დემოკრატი, ბაგირ რიზაევი – სოციალ-დემოკრატი, ფეხრი ბეი – ეროვნული.

ბაგირ რიზაევი, როგორც ადერბეიჯანის წარმომადგენელი, კომიტეტში შედის დროებით.

("ნეზ.გაზ.")

ქუთაისში

- ტყვეების ჩამოყვანა. 19 თებერვალს ქუთაისში ფრონტიდან ჩამოიყვანეს სამი გუნდი ტყვე ბალშევიკი ჯარისკაცები. თითო გუნდი შესდგებოდა 206 კაცისაგან. უმთავრესად ისინი შესდგებოდენ რუსებისა და სომხებისაგან. ტანზედ ძალიან ცუდად აცვიათ, ერთი შეხედულობით მათ შეატყობთ, რომ მოღალულნი არიან.

- დატუსაღებული საკონსულო. 19 თებერვალს ქუთაისში ბათუმიდან ჩამოიყვანეს ბალშევიკების საკონსულოს მოხელეები და მათთან სხვა დაჭერილი ბალშევიკებიც.

- დემოკრატიული პარტიის რაზმის გამგზავრება. 19 თებერვალს, საღამოს 9 საათზე ჩვენი პარტიის რაზმის პირველი გუნდი გაემგზავრა თბილისისაკენ. გამგზავრების წინ მათ შემოიარეს ქალაქის უმთავრესი ქუჩები მწკრივით და დროშით, შემდეგ მივიდენ სადგურზედ, სადაც მათ წარმოსთქვეს რამოდენიმე მხურვალე სიტყვა. წასვლის დრომაც მოაწია. მატარებელი დაიძრა. "ვაშა" და "გაუმარჯოს საქართველოს" ძახილით მოშორდნენ სადგურს. მათ თან წაყვათ ოფიცრები ნაკაშიძე და შავგულიძე.

- სანიტარული რაზმის შედგენა. დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბი შეუდგა სანიტარულ რაზმის შედგენას. დღემდე ჩაწერილია 30 ქალი და კაცი. უმთავრესათ წევრებათ ღებულობენ გამოცდილ პირებს. გამოუცდელთათვის ლექციებს სანიტარული დარგებიდან დღეში ორჯერ კითხულობენ ექიმები. ჩაწერა გრძელდება.

- მატარებლის ჩამოსვლის შეჩერება. ორი დღეა, რაც ქუთაისიდან თბილისისაკენ მატარებელი არ გასულა. დადის მხოლოდ სამხედრო მატარებლები.

- ტყვე-ბოლშევიკების ჩამოყვანა. გუშინ თებერვლის 21, თბილისიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს 500-დე ტყვე-ბოლშევიკი ჯარისკაცები, მათში უმთავრესად რუსი კაზაკებია.

- პარტიული სანიტარული რაზმი. დემოკრატიის პარტიის სანიტარულმა რაზმმა უკვე დაიწყო მეცადინეობა. პირველი ლექცია წაიკითხა ვასილ წერეთელმა, ლექტორებათ მოწვეულნი არიან აგრეთვე სხვა ექიმები.

- დაწესებულებათა გადმოსვლა ქუთაისში. თბილისიდან ზოგი სახელმწიფო დაწესებულება გადმოვიდა ქუთაისში.

- სასწავლებლებში. ქალების სასწავლებლებში მაცადინობა ჯერ-ჯერობით არ დაიწყება, მოსალოდნელია რომ ვაჟების სასწავლებლებშიაც შესწყდეს მაცადინობა.

- ტყვეები გიმნაზიაში. ქუთაისის მე-2-ე გიმნაზიაში და ქალების პირველ გიმნაზიაში დააბინავეს ტყვე ბოლშევიკები ჯარისკაცები.

ამერიკა და საქართველო

ამერიკის გენერალურმა კონსულმა მოზერმა, რომელიც 21 თებერვალს, სოხუმიდან დაბრუნდა, იმავე დღეს დეპ. მისცა ვაშინგტონის მთავრობას, აუცილებლათ გამოგზავნოს ბათომში საქართველოს ლაზარეთებზე და თავშესაფარებზე უსასყიდლოდ გადასაცემად ყველა ის მედიკამენტები, ტანისამოსები და სურსათი, რომელიც შეერთებული შტატების განკარგულებით ათინაში, სმირნაში და ტრაპეზუნდში იმყოფება. ამავე დროს ბ. მოზერმა სასწრაფო დეპეშა გაუგზავნა ამერიკის გემს, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ბათომისკენ გამოემართა სურსათით, მაგრამ რომელიც საქართველოზე თავდასხმის შიშით უკან დაბრუნდა, - დაუყოვნებლივ ისევ ბათომისკენ დაბრუნდეს.

აჯანყება აზერბეიჯანში

შუკა ნამაზის რაზმთან წითელი არმიელების შეტაკების შემდეგ, ბოლშევიკები შეჯგუფდენ სად. ტაუზთან 3000 წითე-

ლარმიელით და მიიტანეს თავგანწირული იერიში შოსეთი. სამი დღის საშინელი ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც ბოლშევიკებმა დაკარგეს დიდძალი ტყვეები და დახოცილები, - აჯანყებულნი დაუზიანებლად გაბრუნდენ, ბოლშევიკებმა სამაგიეროდ შური იძიეს მშვიდობიან მცხოვრებლებზე, არაჩვეულებრივი რეპრესიებით - და ერთა შორის სისხლის მღვრელ შუღლის ჩამოგდებით.

ბოლშევიკებმა შეაიარაღეს სომხები და სოფ. ბაშკენტში მცხოვრები მალაკანები, რომელნიც დასძრეს მუსლიმანების წინააღმდეგ.

ბორჩალოს თათრები

ბორჩალოს მაზრაში ჩვენი ჯარის უკან დახევისას, მუსულმან-მცხოვრებთა ნაწილმა დასტოვეს თავიანთი სოფლები და ჩვენს ჯარს გამოჰყვნენ თბილისში. ბორჩალოდან ლტოლვილ მუსულმანებმა შეადგინეს სამხედრო ძალები. დღეს ეს ნაწილები ცხენოსან პოლკის კომანდირის განკარგულებაში იმყოფება და საერთო მტერს ებრძვის. ბორჩალოელების ხელმძღვანელია მათივე მიერ შედგენილი დროებითი კომიტეტი. დარჩენილი სოფლები მზადაა აჯანყებისათვის რუსების წინააღმდეგ. ისინი მხოლოდ საქართველოს ლაშქრის შემოტევას უცდიან. ბორჩალოში ჩვენი ჯარის შესვლა პირველი სიგნალი იქნება აჯანყებისათვის. ასეთივე მდგომარეობაა ბაშკიჩეთის რაიონშიც.

ექიმთა მობილიზაცია

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, გამოცხადებულია ექიმთა მობილიზაცია 40 წლამდე მთელ რესპუბლიკაში, პირველ დღეთ დანიშნულია 25 თებერვალი.

მობილიზაცია

თბილისის გამაგრებულ მიდამოებში მობილიზაცია ბრწყინვალედ ტარდება. გენერალური შტაბის სამობილიზაციო

განყოფილება განმარტებას იძლევა, რომ მობილიზაციას ექვემდებარებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 19-დან 40 წლამდე, გარდა რუსებისა.

სომხეთში

ერევანი (რადიო) თებერვლის 22. რადიო ცნობა დროებითი დეპეშა სააგენტოს. ბოლშევიკებმა გაქცევისას თან წაიღეს დიდძალი ოქრო, ვერცხლი – ვალუტა, ას მილიონობით სომხური მანათები, სამი ტომარა საბჭოთა ფული, რვა ვაგონი ხორბალი, შაქარი, რძე, კონიაკი და ერბო. ბალშევიკების ცენტრალური კომიტეტის შენობაში ნახეს ნიშნები ლოთობისა. ნაპოვნია ბევრი სავალიუტო საქონელი. მაზრებიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები სოფლებისა და ჯარების აჯანყებისა ბალშევიკების წინააღმდეგ. სამშობლოს მტრისაგან განსათავისუფლებლათ დაშნაკცუტიუნის პარტიამ მობილიზაცია გამოაცხადა პარტიის ყველა წევრებისა, მოუწოდებს ყველას მომაკვდინებელ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ქალაქის საბჭომ განაახლა მოქმედება. ობლებს ბალშევიკები არ ჰკვებავდნენ. ბალშევიკების დროს სატახტო ქალაქი მათხოვრებით და დამშეულ ობლებით სავსე იყო. ახლა ობლები დანაწილებულია თავშესაფრებში. ცნობას, რომ საფრანგეთი საქართველოს ეხმარება და საქართველომ გაიმარჯვა სატახტო ქალაქი აღტაცებით შეხვდა. ოფიციალური გაზეთი მოუწოდებს ლორისა და ყაზახის გლეხებს მიატოვონ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ბალშევიკების რაზმები და დაიწყონ ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. სამშობლოს დამხსნელმა კომიტეტმა დაადგინა: ის მხედრები, სომხები თუ რუსები, რომლებიც ჯერ წინააღმდეგობას უწევენ სომხეთის მხსნელ კომიტეტის ჯარებს, თუ ამ მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ მიატოვებენ ბალშევიკების რაზმს და გადავლენ სომხეთის მთავრობის მხარეზე, - შეიწყნაროს, სასჯელისაგან გაანთავისუფლოს და დააბრუნოს თავის ძველ სამსახურის ადგილზე.

მიმოსვლა რკინის გზაზე

თბილისიდამ ბათომში მიმავალ მგზავრებს ბილეთის მისაღებად უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწმობა რკინის გზის აგენტების კომისიისგან, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით მუშაობს. კომისია მუშაობს და მოწმობებს იძლევა რიგ-რიგობით დღის 2 საათიდან, და მოთავსებულია ბაქოს საბილეთო კასაში. საფოსტო მატარებლის № 21-ის შემადგენლობაში იმყოფება ყველა კლასის ვაგონი. მატარებელი თბილისიდან გადის საღამო 5-6 საათზე. ბათომიდან გამოდის მატარებელი № 2 თავისი მიმოსვლის დროით. ბარგებს ღებულობენ ჩვეულებრივი წესით რაოდენობის განუსაზღვრელად. საპერონო ბილეთის მიცემა თბილისის სადგურზე აღკრძალულია. პლათფორმაზე მხოლოდ მგზავრებს შეუძლიათ გასვლა.

სურსათ-სანოვაგე თფილისისათვის

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი სანოვაგე თფილისისათვის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე კერძო პირების მიერ შეძენილი, თანახმად რკინის გზის დაცვის მთავარი კომიტეტის დადგენილებისა, მიიღება რკინის გზაზე რიგს გარეშე და გამოიგზავნება სასწრაფოდ.

იმ შემთხვევაში, თუ სურსათვის გამოგზავნა გზაზე შეჩერდა რაიმე მიზეზით, საჭიროა გამომგზავნმა ან ადრესატმა მიმართოს განცხადებით თფილისში – რკინის გზის თავდაცვის მთავარ კომიტეტს რკინის გზის სამმართველოში, ან თფილისის სანოვაგით მომარაგების ხელმძღვანელს ა. გ. რუხაძეს ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებაში, ხოლო რკინის გზის ხაზზე – რკინის გზის დაცვის რაიონულ კომიტეტებს, როიმელნიც მიიღებენ ზომებს სურსათის თფილისში დროზე შემოსატანად.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს... რეკვიზიციის საშუალებით ართმევენ სურსათს და სხვა.

საგენერალ-გუბერნატოროში

გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე დაინიშნა აფხაზეთის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ. მის მაგიერ დაინიშნა ს. გეგელაშვილი.

სასწავლო სროლა

ამით ცხადდება მოქალაქეთა საყურადღებოთ რომ ახლად გაწვეულ ჯარისკაცთა შესასწავლათ სანიმუშო სროლა ქ.თბილისში გაგრძელდება 25-26 თებერვალს.

პატარა ფელეტონი

სადღეისო

ბუდუ
ბუდუმ გასძახა ნოესა
ეგ ბაღი დამიცალეო,
განა სხვა ბაღი არ არის,
რა ჩვენზე მოიცალეო!

ნოე
კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო
პატრიოტიზმია დღესაო

ფილიპე
პამპულაი შეიკაზმა
ბაქოს თოფით, ჯინჯილითა
უნდა ქალაქსა მივადგე,
"სმირნოვკითა" და ტილითა...

ნოე
ეს რომ ჩვენებმა შეიტყვეს,

გადიფხრიწნენ სიცილითა
"გრაბ ნედელას" არ შეგასწროთ
და არც "ნედელიას ლიუბვითა"

ონავარი

უცხოეთში

დეპეშები
ფრანგული ცნობები

პოლონეთ-საფრანგეთის კავშირი

პარიზი. თებერვლის 23. განსაკუთრებულ ხელშეკრულებამდე სავაჭრო კონვენციები, რომელთა გამომუშავებამ ძლიერ წინ წაიწია, შეუწყვეტლად იქნება ხელმოწერილი, საფრანგეთი და ბელგია მასში ნახავენ თავის სარგებლობას. პარიზი და ვარშავა პოლიტიკურად არ აიძულებს ერთმანეთს ყველა საერთაშორისო საკითხში, რომლებითაც ორთავენი დაინტერესებულნი არიან, შეთანხმებულად იმოქმედონ, სამხედრო კონფერენცია საბედნიეროდ აკავშირებს საფრანგეთს და ბელგიას და საფრანგეთმა უკვე გამოიყენა ეს კონვენცია, რომ დაბრუნებოდა თავის პოლიტიკურ წონასწორობას. დასასრულ, საფრანგეთ-პოლონეთის შეთანხმება შეიცავს ერთ პირობას, რომელიც მართალია, ნამდვილად არ არის სამხედრო ხასიათის, მაგრამ აქვს დამოკიდებულება ხელშემკვრელ მხარეთა ნაციონალურ უზრუნველყოფასთან. თუ ამ ქვეყნებს, ან რომელიმე მათგანს დაეცა მტერი, ისინი უნდა შეთანხმდნენ იმ ზომების გამოსანახავად, რომლებიც საჭირო იქნება მათი ტერიტორიის დასაცავად. ეს არ ნიშნავს, რომ საფრანგეთი გაგზავნის ვარშავაში თავის ჯარს, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთი დაეხმარება პოლონეთს გენერალური შტაბისა, სამხედრო მასალისა და კაზმულობის მიწოდებით; ისე

როგორც ეს მოხდა 1920 წლის ივლისში. ამ დახმარებამ უკვე საუცხოვო შედეგები მოუტანა პოლონეთს.

ლონდონის კონფერენცია

სამშაბათს პლენარული სხდომა არ შემდგარა. მოკავშირეებმა დაადგინეს მოისმინონ ლიტვის წარმომადგენელი მათი ქვეყნის ცნობის შესახებ.

—

ლიონი, 24 11 თებ. ოთხშაბათს, ს ჯემის სასახლეში შესდგა ლონდონის კონფერენციის სხდომა. კონფერენციამ მოისმინა ანგორისა და კონსტანტინეპოლის დელეგატთა მოხსენება შესახებ იმ პრინციპებისა, რომლებზედაც შეიძლება დამყარდეს მშვიდობიანობა აღმოსავლეთში.

- ხუთშაბათს, დილით, ოსმალეთის დელეგატებმა უნდა დაწვრილებით აღუნუსხონ და გააცნონ კონფერენციას თავისი მოსაზრებანი სევრის ხელშეკრულების იმ მუხლთა შესახებ, რომელთა შეცვლას ისინი მოითხოვენ.

მთავარი რედაქტორი გრ. ვეშაპელი
სარედაქციო კოლეგია:

გაზეთი „ერთობა“

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტისა
პარასკევი 25 თებერვალი 1921 წ. № 43

№ 1 ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ სოღანლუღში მძიმედ დაჭრის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი გერონტი მალაქის ძე ბერძენიშვილი.

გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 24

თებერვლის 23 დღე ყველა მიმართულებით სიწყნარით გამოირჩეოდა.

მტრის ჰაეროპლანმა გუშინ ორი ბომბი ჩამოაგდო უშუდეგოთ. ტყვიისმფრქვეველის ცეცხლით მტრის ჰაეროპლანი განდევნილ იქნა და აქსტაფის რაიონისაკენ მიიმალა.

გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრა ესვრის ბალშევიკებს.

ჩვენს მეომრებს

თქვენთან მოჰქრის ჩვენი აზრი და გონება. თქვენი ბრძოლის ველს დასტრიალებს ჩვენი ოცნება.

თფილისის დამცველნო, დედა ქალაქის ბჭეთა დარაჯნო, იცით რა დიდ, ისტორიულ უმაგალითო საქმეს აკეთებთ? თქვენ იცავთ სახლ-კარს, ოჯახს, ცოლშვილის ნამუსს და პატიოსნებას, იცავთ ქართველის სახელს და თავისუფლებას!

და თქვენ ხედავთ, ამას თქვენ გრძნობთ, ამას თქვენგანი ყველა მიხვედრილია.

მაგრამ იცით რა იმალება ამ თავდაცვის საქმეში? იცით, რა შედეგი მოსდევს თქვენს ბრძოლას და გამარჯვებას?

დიდი, დაუფასებელი, განუზომელი, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის, მთელი მცირე აზიისთვის.

აქ თქვენი ხელით, თქვენი მონაწილეობით ბრძოლის ალში წყდება უდიდესი საკითხი დიდი ხნის დაბეჩავებულ ერთა თავისუფლებისა.

ვის ხელში უნდა იყოს ბედი ახლობელ აღმოსავლეთის?

რუსის ბარბაროსულმა ქუსლებმა უნდა სთელონ ჩვენი კარმიდამო, თუ ევროპის ნათელმა სხივმა უნდა გააბრწყინოს ჩვენი ცხოვრების მომავალი ბაღნარი, - აი რა წყდება დღეს!

თქვენ მარტო თფილისს კი არ იცავთ, არამედ იცავთ კულტურას და განვითარების პირობებს ბარბაროსობისა და გადაგვარებისაგან. თქვენი ხელით იჭედება ახალი ისტორიის უმშვენიერესი ფურცელი.

ბალშევიკები, კომუნიზმი – გარდა უსაშინელესი მონობისა, გულშემზარავი ყაჩაღობის დაუსრულებელი წყაროა. იგი შხამათ ედება ქვეყანას, სწამლავს ცხოვრებას და ჰკლავს ყოველივეს, სცელავს ნორჩი ცხოვრების ახლად გაფურჩქვნილ ყლორტებს. თფილისის კარებიდან დაბრუნებული, იგი დასამარებულ იქნება და განდევნილი კავკასიის არემარედან...

უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლაა დღეს თქვენი თავგანწირული სულისკვეთება.

მთელი კავკასიის ერები შემოჰყურებენ თქვენ ბრძოლის ალს, გულის ფანცქალით ისმენენ თქვენს ბრძოლის ყიჟინას და თქვენს გამარჯვებას მოელის როგორც ცის მანანას, როგორც მხსნელი მეფის მოსვლას.

და ევროპის განათლებულ ქვეყნებიდანაც თქვენ შემოგცქერიან მუშათა კლასის ყველა წოდება, დიდი გულის-წუხილით, რომ ასეთი მძიმე ხვედრი გარგუნათ ბედმა. ისინი გაფაციცებით

ადევნებენ თვალყურს თქვენს მამაცურ ბრძოლას და მთელ თავის თანაგრძნობას თქვენ გიგზავნიან.

დიდ მსოფლიო საკითხს სწყვეტს თქვენი ტყვია და თქვენი აღფრთოვანება და მსოფლიო სახელს მოგიხვეჭთ თქვენი გამარჯვება და მტრის დამარცხება.

მაშ, იბრძოლეთ, მხედრებო, იბრძოლეთ ჩვენო სიამაყევ! ათასწლოვანი კულტურა საქართველოსი ლაპარაკობს დღეს თქვენი პირით, ათასწლოვანი ბრძოლის ენერგია მოქმედებს თქვენს მკლავებში!

წინ მედგრათ! საქართველოს ვაჟკაცებს მხოლოდ გამარჯვება სჩვევიათ!

რაც უნახავთ, ვერ ნახავენ

გუშინ საღამოს მტერმა ჰაეროპლანიდან ყუმბარები გადმოისროლა. ამას, რასაკვირველია, ის არ იზამდა სამხედრო მიზნით. რომელიმე კერძო სახლის განადგურებას, რომელიმე კერძო პირის დახოცვას ან დასახიჩრებას არ აქვს ომში არავითარი მნიშვნელობა.

თფილისზე გადმოფრენა მოხდა მარტო პოლიტიკური მოსაზრებით. მტერი ცდილობდა ხალხის შეშინებას, სატახტო ქალაქის მცხოვრებთათვის თავზარის დაცემას და ზურგში არევ-დარევის შეტანას.

ხმელეთზე ბრძოლით ვერაფერს გახდენ, ვერ გამოიწვიეს აჯანყება. დამარცხებულები მაღლა აფრინდნენ და ზემოდან მშვიდობიან ხალხს დაუშინეს. ეს არის სასოწარკვეთილებით გამოწვეული ნაბიჯი – ამით უნდა გვითხრან – დაგვნებდით, ბრძოლას თავი დაანებეთ, მაინც ვერ გაგვიძლებთ დიდხანსო.

მაგრამ თფილისი არ შეკრთა. არ ეშინია მსხვერპლის არც ფრონტზე და არც მშვიდობიან ქუჩებში. საქართველოს დედა ქალაქი არ კარგავს იმ სიდინჯეს, რომელსაც მოითხოვს მისგან დღევანდელი დღე. ჰაერიდან ყუმბარების გადმოსროლა კიდევ

უფრო ააღელვებს და აამხედრებს მთელ ხალხს მტრის წინააღმდეგ.

დამოუკიდებლობის დაცვა საქართველოსთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მისი ნებით ბალშევიკები ვერ შემოვლენ აქ. ქართველ ხალხს აქვს ისეთი სიმაგრე, რომელსაც ისინი ვერ მოერევიან ვერც ზარბაზნებით და ვერც ჰაეროპლანებით. ეს სიმაგრე მისი მკერდი, მისი სულიერი განწყობილებაა. ამისთანა სიმაგრესთან ბალშევიკებს ჯერ არსად საქმე არ ჰქონიათ და აქ ისინი ვერ ნახავენ იმ გამარჯვებას, რომელიც სხვაგან უნახავთ.

მარტო არა ვართ

მტერმა დიდი დამარცხება ნახა თფილისის კარებთან, მაგრამ ის ჯერ იარაღს არ იყრის. ორი დღის განმავლობაში შეჩერებული ბრძოლა დღეს განახლდა მომატებული ძალებით.

საქართველოს ფრონტი დგას შეურყევლათ. გმი რული მხედრობა უტევს მოწინააღმდეგეს სხვადასხვა კუთხიდან. ჩვენს ხალხშია ეხლა ბრძოლის ინიციატივა. ხალხი ყველგან ზურგს უმაგრებს ფრონტზე მდგარ გვარდიას, ლაშქარს, მუშათა მოხალისე რაზმებს. კახეთში მოქმედებენ პარტიზანული ჯგუფები, აწვებიან და სდევნიან მოტყუებით შესეულ ბალშევიკებს.

არც მუშას, არც გლეხს, არავის, არავის არ უნდა ბალშევიზმის შემოსვლა. ყოველ ქუჩაში, ყოველ შესახვევში გადაეღობებიან წინ და შეებრძოლებიან უკან დაუხევლათ, რომ მოახერხონ საბჭოთა ჯარებმა და შემოიჭრან თფილისში.

ვერ შემოიჭრებიან. საქართველოს მშრომელი ხალხი ძლიერია შეგნებით, დისციპლინით, ორგანიზაციით. მტრის ჯარი მოშლილია შეუგნებლობით, ანარქიით, პირველი დამარცხებით. უზარმაზარი ფიზიკური ძალა წელში იხრება პატარა, მაგრამ სულიერათ განმტკიცებული დემოკრატიის წინ.

მარტო არ არის ეს დემოკრატია. ის იცავს თავის საქმეს და ყველა თავის მოძმეებისაც ეროვნული საზღვრების განურ-

ჩევლათ. აქ გამარჯვებული ბალშევიზმი საშინელ მუქარით დაუდგება წინ ევროპის და აზიის დემოკრატიას. აქ დამარცხებულს მოსტყდება იმპერიალისტური კბილი და ის იძულებული გახდება უკან დაიხიოს ყველგან პოლიტიკურ ფრონტზედაც.

ჩვენთან არის მსოფლიო დემოკრატია. ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც მთელი საქართველოს ჯარი მოიკრიბა თავის დროშის ქვეშ, გზავნის ცნობებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ სხვა და სხვა ქალაქებში. ევროპიდან უკვე მოისმის თანაგრძნობის ხმა. ეს თანაგრძნობა გადავა სიტყვიდან საქმეზე. გადავა, როცა დარწმუნდებიან იქ, რომ ჩვენი თავდაცვის ენერგია არ დასუსტდება, რაც უნდა დიდხანს გაგრძელდეს ომი.

ჩვენ ხალხს კარგათ აქვს შეგნებული ამნაირი სიმტკიცის საჭიროება და ახლავე ემზადება ხანგრძლივი ბრძოლისათვის. ახალი ძალა ქონებრივი და ზნეობრივი დღითი დღე ემატება ჩვენს ფრონტს ქალაქებიდან და სოფლებიდან. ამ ფრონტზე ბალშევიზმი დაჰკარგავს ევროპის მუშათა წრეებში უკანასკნელ თანაგრძნობას. აქედან ყველა ნათლად დაინახავს, რომ მისი არსებობა ცარიელ ძალმომრეობაზეა დამყარებული.

არ მომხდარა ჯერ არსად ძალმომრეობის გამარჯვება. არც მოხერხდება არასოდეს...

ს. დევდარიანი

რადიო-ცნობა ერევნიდან

თფილისის რადიო-სადგურმა მიიღო ერევნიდან სამშობლოს დამხსნელ დროებითი კომიტეტისაგან შემდეგი რადიო:

ერევანი (რადიო) თებ 22. ბალშევიკებმა გაქცევისას თან წაიღეს დიდძადი ოქრო, ვერცხლი, ვალიუტა. ას მილიონობით სომხური ჩეკები, სამი ტომარა საბჭოთა ფული, რვა ვაგონი ხორბალი, შაქარი, რძე, კონიაკი და ერბო. ბალშევიკების ცენტრალურ კომიტეტის შენობას ლოთობის კვალი ამჩნევია. ნაპოვნია ბევრი სავალიუტო საქონელი. მაზრებიდან განუწყვეტლივ

მოდის ცნობები სოფლებისა და ჯარების აჯანყებისა ბალშევიკების წინააღმდეგ სამშობლოს მტრისაგან განსათავისუფლებლათ. დაშნაკცუტიუნის პარტიამ მობილიზაცია გამოაცხადა პარტიის ყველა წევრებისა: მოუწოდებს ყველას ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ქალაქის საბჭომ განაახლა მოქმედება. ობლებს ბალშევიკები არ ჰკვეზავდნენ. ბალშევიკების დროს სატახტო ქალაქი მათხოვრებით და დამშეულ ობლებით იყო სავსე. ახლა ობლები დანაწილებულია თავშესაფრებში. ცნობას, რომ საფრანგეთი საქართველოს ეხმარება და საქართველომ გაიმარჯვა, სატახტო ქალაქი აღტაცებით შეხვდა. ოფიციალური გაზეთი მოუწოდებს ლორისა და ყაზახის გლეხებს მიატოვონ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ბალშევიკების რაზმები და დაიწყონ ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. სამშობლოს დამხსნელმა კომიტეტმა დაადგინა: ის მხედრები, სომხები თუ რუსები, რომლებიც ჯერ წინააღმდეგობას უწევენ სომხეთის მხსნელ კომიტეტის ჯარებს, თუ ამ მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ მიატოვებენ ბალშევიკების რაზმს და გადავლენ სომხეთის მთავრობის მხარეზე, - შეიწყნაროს, სასჯელისაგან გაანთავისუფლოს და დააბრუნოს თავის ძველ სამსახურის ადგილზე (სდს).

რადიო ერთა ლიგას

თფილისის რადიო სადგურმა პარიზში გადასცა შემდეგი: ერთა ლიგის თავმჯდომარეს ლეონ ბურჟუას, ასლი ალბერტ ტომას

„საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაესხა თავს საქართველოს რესპუბლიკას ღამით, ამოხოცა მძინარე ჯარისკაცები და ოფიცრები და ყოველი მხრიდან შემოგვიტია. ვერაგი მტერი ამას არ სჯერდება. ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ესვრის თფილისს.

მივაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს, რათა ევროპის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცველად ველურთა ურდოებისაგან.

ქართველი ხალხი კი თავის მხრივ საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას შეურყევლად აქვს გადაწყვეტილი სამშობლოს დაცვა წითელი ბარბაროსებისაგან. ის იარაღით ხელში ბრძოლის ველზე გასული, თავს დასდებს იქ, მაგრამ თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოს არ დასთმობს.

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე

ზალ. ლომთათიძე

მეტი სიმტკიცით ზურგში

ზურგი ფრონტის ერთი უდიდესი სიმაგრეა. ზურგში წესრიგის დაცვა და შინაურ მდგომარეობის ყოველმხრივ განმტკიცება, - გამარჯვების ერთი უმთავრესი თავდებია. რამდენათ ძლიერია ჩვენი მტე რი, რამდენათ მრ ავალფეროვანია მი სი მე ცადინეობა ჩვე ნს დასანგრევათ, - იმდენათ მტკიცე, იმდენათ ყოველმხრივ გაზომილი და მიზანშეწონილი უნდა იქნეს ყოველი შეგნებული მოქალაქის სიტყვა და საქმე ამ სახიფათო მომენტში.

ბალშევიკები, როგორც ვიცით, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ შიგ ნით, არევ-დარევის გა მოწვევას, ერ თნაირი სუ ლიერი გა ნწყობილების შექმნას, ვიდრე გამაგრებული პოზიციების სამხედრო ძალებით აღებას. ამისთვის ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, ამისათვის ისინი ფართოდ იყენებენ იეზუიტურ დევიზს - მიზანი ამართლებს საშუალებასო. მათ ჰყავთ ყოველგან საჯაშუშოთ აუარებელი მოსყიდული ნაძირალა - აგენტები. ამისთვის ხარჯავენ უანგარიშო ფულს, და, უნდა ვთქვათ, რომ ამით ისინი არა ერთხელ გასულან ფონს.

ცხადია, რაც უფრო მოგვიახლოვდება კომუნისტთა ლაშქარი, მით უფრო გათამამდებიან და გათავხედდებიან ჩვენი შინაური

მტრები და მით უფრო გააძლიერებენ თავიანთ დამშლელ მოქმედებას. ამის ნიშნები უკვე არის, გუშინ მათ გაბედეს და ფურცლებიც კი მოაბნიეს თფილისის ქუჩებში, - საცაა განმათავისუფლებელი წითელი არმია თფილისში შემოვა და, მოქალაქენო. მზათ იყავით შესახვედრათო.

ჩვენი შინაური სიმტკიცე, მტრისთვის თვალყურის დევნება და საერთო სიფხიზლე მეტი ინტენსიური რომ ყოფილიყო, ვიდრე ეს არის, ჩვენს უდღეურ ბალშევიკებს ეს ვერ უნდა გაებედნათ აკი ეს ვერ გაბედეს მათ ომის პირველ დღეებში, როცა მთელი ხალხი ფეხზე იდგა, ყველა ერთის აზრითა და გრძნობით იყო გატაცებული.

მაგრამ გაიარა დღეებმა, ცოტა მიყუჩდა ზარბაზნების გრიალი, ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ მიმოირეკა თავხედი მტერი თფილისის მიდამოებიდან და მოქალაქეთა სიფხიზლესაც თითქოს შენელება დაეტყო. ლაპარაკშიც აღარ ვიცავთ სიფრთხილეს, თითქოს არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ ქუჩები სავსეა საეჭვო და მოღალატე ელემენტებით, რომლებიც ორივე თვალითა და ყურით ცდილობენ რაიმე გაიგონ, რაიმე დაინახონ და, ვითარცა იუდამ, მტერს ვერცხლში გადაუცვალონ.

არ უნდა დავფაროთ, არ უნდა დავხუჭოთ თვალები სინამდვილის წინაშე და ვთქვათ აშკარათ, რომ საფრთხე მეტათ დიდია.

დიდი საფრთხის თავიდან აცილებას დიდი ბრძოლა, დიდი ენერგია და დიდი სიფრთხილე სჭირია. და აი, ყოველივე ეს უნდა შეითვისოს და ეუაღრესათ გამოიჩინოს ყოველმა მოქალაქემ, ყოველმა ქართველმა, რაც უნდა პატარა პოსტზე იდგეს ის. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მისი საქმე არ არის და რომ ამას სხვა ვინმე გააკეთებს. ყველამ უნდა ვაკეთოთ, ყველამ უნდა ვეცადოთ, ყველამ საკუთარ საქმეთ და მოვალეობათ უნდა გავიხადოთ ქვეყნის თავდაცვაზე ზრუნვა და მაშინ მტერიც დამარცხებული და შერცხვენილი იქნება.

რ. რ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 24.

რუსეთის დეპეშათა სააგენტო

(ბალშევიკური)

საბჭოთა რუსეთის კატასტროფული მდგომარეობა. შიმშილი რუსეთში

მოსკოვი (რადიო) 23 თებერ. შიმშილმა რუსეთში ისეთი საშინელი ხასიათი მიიღო, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა დახმარებისათვის თხოვნით მიემართა მცხოვრებლებისათვის. საბჭოთა რადიო ემუდარება მათ: „მუშებო, დაეხმარეთ მშიერ ხალხს! მშიერი გლეხები უცდიან თქვენ შველას. მილიონ ნახევარი სოფლის ბავშვები გემუდარება დახმარების გაწევას. ახალგაზრდებო! გაეშურეთ შიმშილის ფრონტზე. მშივრებისათვის პურის მისაწოდებლად აუცილებელია სათბობი მასალა, რომელიც არ არის და რომელიც უსათუოდ უნდა მოვიტანოთ. მშივრებისათვის საჭმელის მოსამზადებლად მოსჭერით და დააპეთ, რაც კ ი შეიძლება, სანამ გვიანი არ არის. სათბობი მასალის კრიზისის მოსპობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მასსიურ, რაინდულ ძალის ამოძრავებას. მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს სათბობი მასალის შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მხოლოდ გამძლეობა გადაარჩენს მშრომელთა კლასს რესპუბლიკის საშინელ მტერთან სამეურნეო არევ დარივასთან ბრძოლაში.

რუსეთის დელეგაცია ფინეთში

მოსკოვი თებ 23. საბჭოთა რუსეთის დელეგაცია 19 თებერვალს ჩა ვიდა ფი ნეთში. დელეგაციას შეხვ დნენ ფინეთის სა გარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ბელგიაში

ბელგიის ქარხნები სამუშაო ხელფასს სანახევროთ ამცირებენ.

ც.ა.კ. ცირკულიარული წერილი

მოსკოვი 23 თებ. ყველა საგუბერნიო აღმ. კომიტეტებს აქამდე საბჭოთა ძალაუფლება შედიოდა სოფლებში თავის სასურსათო წესებით, უმთავრესად მთელი სახელმწიფოს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სასურსათო წესები ტარდება ნებაყოფლობით და იძულებით, მაგრამ არის ბევრი ფაქტები მაგ. დატუსაღება, დატუსაღებულთა ცივ შენობაში დამწყვდევა, დამუქრება იარაღით და ლანძღვა-გინება. ასეთი ფორმები კი აბორტებს და ხშირად აღშფოთებამდის მიჰყავს გლეხები, რაც, რასაკვირველია, აძლიერებს კონტრრევოლუციონურ მოძრაობას. კიდევ უფრო აბრაზებს გლეხობას „პროდაგენტები", თვითნებური უკანონო მოქმედებანი, რეკვიზიცია დაწესებულ ნორმაზე მეტი, პროდუქტების პირად საჭიროებისათვის მოხმარება, პურის გაფუჭება, ლოთობა და ქეიფი საბჭოთა რუსეთის აგენტებისა მცხოვრებთა თვალწინ არის დიდი და დაუშვებელი ბოროტ-მოქმედება საბჭოთა უფლების და რევოლიციის წინაშე. ყველა ზემოხსენებული მოქმედება უნდა იდევნებოდეს ადგილობრივი მთავრობის მიერ და ისჯებოდეს სასწრაფოდ და სასტიკად ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებით. დაუშვებელია შეგროვილი პროდუქტების წახდენა და გაფუჭება, რაც ხშირად ხდება მცხოვრებთა თვალწინ.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ

პარიზიდან ჩამოსულმა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ბენეშმა განაცხადა, რომ ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო საბჭოთა რუსეთია ბლოკადის. საფრანგეთის გაზეთები არჩევენ გეგმას პოლონეთის დახმარების შესახებ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მხრით იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოქმედება დაიწყო პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. როგორც სჩანს, ჩეხოსლოვაკია თანახმაა საჭირო დახმარება გაუწიოს პოლონეთს.

ფრანგული ცნობები

პოლონეთი და საფრანგეთი

პარიზი. თებ 23 პარიზი და ვარშავა პოლიტიკურად არ აიძულებს ერთმანეთს ყველა საერთაშორისო საკითხში, რომლებითაც ორთავენი დაინტერესებულნი არიან, შეთანხმებულად იმოქმედონ. სამხედრო კონვენცია საბედნიეროდ აკავშირებს საფრანგეთს და ბელგიას და საფრანგეთმა უკვე გამოიყენა ეს კონვენცია, რომ დაბრუნებოდა თავის პოლიტიკურ წონასწორობას. დასასრულ საფრანგეთ პოლონეთის შეთანხმება შეიცავს ერთ პირობას, რომელიც, მართალია, ნამდვილად არ არის სამხედრო ხასიათის, მაგრამ აქვს დამოკიდებულება ხელშემკვრელ მხარეთა ნაციონალურ უზრუნველყოფასთან. თუ ამ ქვეყნებს ან რომელიმე მათგანს დაეცა მტერი, ისინი უნდა შეთანხმდნენ იმ ზომების გამოსანახავათ, რომლებიც საჭირო იქნება მათი ტერიტორიის დასაცავად. ეს არ ნიშნავს, რომ საფრანგეთი გაგზავნის ვარშავაში თავის ჯარს, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთი დაეხმარება პოლონეთს გენერალური შტაბისა, სამხედრო მასალისა და კაზმულობის მიწოდებით ისე, როგორც ეს მოხდა 1920 წლის ივლისში. ამ დახმარებამ უკვე საუცხოვო შედეგები მოუტანა პოლონეთს.

უცხოეთის ინფორმაცია საქართველოს შესახებ

საფრანგეთის პრესა აქვეყნებს ცნობებს, რომლის თანახმად სამი ბალ შევიკური დი ვიზიის შე ტევა თფი ლისის წინააღმდეგ ქარ - თველებმა მოიგერიეს და საქართველოს სატახტო ქალაქი ამრიგად განთავისუფლდა.

ლონდონის კონფერენცია

სამშაბათს პლენარული სხდომა არ შემდგარა. მოკავშირეებმა დაადგინეს მოუსმინონ ლიტვის წარმომადგენელს ლიტვის ცნობის შესახებ.

ლიონი, 24 თებ. ოთხშაბათს, ს.-ჯემის სასახლეში შესდგა ლონდონის კონფერენციის სხდომა. კონფერენციამ მოისმინა ანგორისა და კონსტანტინეპოლის დელეგატთა მოხსენებები შესახებ იმ პრინციპებისა, რომლებზედაც შეიძლება დამყარდეს მშვიდობიანობა აღმოსავლეთში.

ხუთშაბათს, დილით, ოსმალეთის დელეგატებმა უნდა დაწვრილებით აღნუსხონ და გააცნონ კონფერენციას თავისი მოსაზრებანი სერვის ხელშეკრულების იმ მუხლთა შესახებ, რომელთა შეცვლას ისინი მოიხთხოვენ.

ამერიკის დახმარება საქართველოს

სოხუმიდან დაბრუნდა ამერიკის გენერალური კონსული მოზერი. 21 თებერვალს ბ-ნ მოზერმა ვაშინგტონში დეპეშით აცნობა მთავრობას, რათა დაუყოვნებლივ გამოგზავნილ იქნას ბათომში საქართველოს ლაზარეთებისთვის უფასოდ გადასაცემად ყველა ის მედიკამენტები, ტანისამოსი და სურსათი, რომელნიც შეერთებული შტატების მთავრობას მოეპოვება სტამბოლში, ათინაში, სმირნაში და ტრაპიზონში. ამას გარდა ბ-ნ მოზერმა აუწყა, რომ სტამბოლიდან ბათომისკენ გამოსული გემი და შემდეგ უკან გაბრუნებული საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის შიშით, რომელსაც მოჰქონდა 60 ათასი ტონა ტვირთი - ხორბალი და ტანისამოსი, ისევ მოვიდეს ბათომში.

რას ნიშნავს „წითელ“ ავაზაკთა შემოსვლა?

გაზ. „საქართველოში“ მოყვანილია დაჭრილ-დახოცილ რუს ჯარისკაცთა წერილები, რომლებიც მათ აღმოაჩნდათ, და დაჭრილების და ტყვეების ნალაპარაკევი. ამ წერილებიდან და ამ ნალაპარაკებიდან ჩანს, რას უქადის ჩვენს ხალხს თფილისში შემოსვლა კომუნისტური ჯარისა:

„ძმებო ქართველნო - სწერია ერთის მოკლულის წერილში, - ჩვენ გამხეცებულნი ვართ ომიანობით, სისხლით და იმ სისასტიკით, რომლითაც გვექცევიან ჩვენი უფროსები. ჩვენ ძალად გვაბრ-

ძოლებენ და მშიერ მწყურვალთ იმედებით გვკვებავენ, რომ საქართველოში ვიპოვით სამოთხესაო.

ჩვენ ყველას მოგვაქვს თან ტომრები, რადგან დაგვპირდნენ, მთელი კვირა თფილისის გაძარცვის ნებას გაძლევთო: იქ მდიდარი ბურჟუები არიან და ყველაფერი უნდა წავართვათო, ამბობს ერთი დაჭრილი, რომელსაც სათნოების და გაფათრულს და აყროლებულს ფეხს უხვევს, ჩვენს უკან მოდიან ჩვენი დედაკაცები (ბაბი) კალათებითა და პოვოსკებით, რომ აქედან წაიღონ, რაც მოხერხდება (დაიხსომეთ ეს რისამე მქონებელნო).

- ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისი ადვილი ასაღებია, რომ ქალაქში უმრავლესობა მუშებისა, გვარდიისა და ხალხისა გვიცდის, როგორც მხსნელებს, რომ ჩვენთან ერთად დაერიოს ქართველების „სამოდერჟავებს“, რადგან უმრავლესობა თფილისში რუსები და სომხებია, რომლებიც გველიან... (გაუწიეთ ამას ანგარიში მმართველნო და შინაგან საქმეთა მეთვალყურენო!)

- ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისი სამოთხეა, სავსეა ბურჟუაზიის ლამაზი ქალებით, სომხის, რუსის და უმეტესად ქართველებისა და რომ ერთი კვირით ჩვენ სრული თავისუფლება გვექნება მათი გაუპატიურებისაო, ამასთან ასეთი სიტყვები დაუმატა მსუბუქად დაჭრილმა, რომლის დაბეჭდვა კანონით აკრძალული არ არის, რადგან კანონშიაც ვერ იხსენიებენ.

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტში

22 თებერვალს ადერბეიჯან მთიელთა კომიტეტისა, ყუბანის განმათავისუფლებელი კომიტეტისა და თერგის ყაზახთა წარმომადგენლებს შორის მოხდა მოლაპარაკება შემდეგ საკითხებზე: 1)კომიტეტის მოქმედების გაერთიანება და 2) ურთიერთ შორის დამოკიდებულება თერგის ყაზახობისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის შორის.

ყველა კითხვებში მოხდა პრინციპიალური შეთანხმება. ამასთან შეთანხმება მთიელთა ყაზახებს შორის მოხდა ერთის მხრით იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც იყო დადებული პარიზში ყუ-

ბანელებსა და მთიელთა შორის, ხოლო შეთანხმება თერგისა და მთიელებთან. იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც დაიდო ბაქოში 1918 წელს დეკემბერში.

ბალშევიკები ყალბ ბონებს ამზადებენ

თფილისი, თებ 24. ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენი მტრების - ბოლშევიკების მიერ აუარებელი ყალბი ათას მანეთიანი ბონები იბეჭდება კავკავში და ს. ნაზრანში, რომლებსაც სხვა და სხვა საშუალებით ეზიდებიან საქართველოსაკენ.

ამ ყალბ ბონების დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: პირველ გვერდზე, სადაც არაბული ციფრით აწერია 1000 ამ რიცხვის ქვევით ყალბ ბონებზე სწერია: ბონისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავი ქონებით, ხოლო ნამდვილ ბონებზე სწერია: მთელი თავისი ქონებით. ამავე გვერდზე ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის ხელის მოწერა შემდეგნაირად არის გამოსახული: ასო კ-ნის ზევით დასმული აქვს წერტილი, ხოლო ნამდვილ ბონზე ასო კ-ნის მარჯვნივ ქვევით ასვია წერტილი. მეორე გვერდზე, სადაც რესპუბლიკის ღერბია გამოსახული, ამ ღერბის ქვევით ყალბ ბონზე აწერია: დაიაჯება სისხლის სამართლის წესით, ხოლო ნამდვილ ბონზზე სწერია: დაისჯება სისხლის სამართლის წესით. (სდს).

ბალშევიკების კავშირი ვილჰელმის მთავრობასთან

იანვრის ბოლო რიცხვებში რეიხსტაგის დეპუტატმა კომუნისტმა დიუველმა შეკითხვით მიმართა მთავრობას მართალია თუ არა, რომ ლენინმა, ტროცკიმ და სხვა ბალშევიკებმა ომის დროს მიიღეს გერმანიის მთავრობისაგან 50 მილიონი მარკა, ანდა, რომ მთავრობამ დახმარება გაუწია ბალშევიკებს სამხედრო ძალებითო. შეკითხვის საბაბი გახდა ედ. ბერნშტეინის მიერ გამოქვეყნებული ცნობები იმ დახმარების შესახებ, რომელიც აღმოუჩინეს ბალშევიკებს გერმანიის ჯარების სამხედრო უფროსებმა.

„ფოსიშე ცაიტუნგის“ სიტყვით საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონსმა შემდეგი პასუხი გასცა შეკითხვაზე: საგ. საქმეთა უწყების დოკუმენტებში არავითარი ცნობები არ მოიპოება იმის შესახებ, რომ რუსეთის პოლიტიკოსები ლენინი და ტროცკი ნივთიერ დახმარებას ღებულობდნენ საგარეო საქმეთა უწყების სალაროდან, ან და, რომ სამხედრო უფროსები დახმარებას უწევდნენ ბალშევიკებს საგარეო საქმეთა უწყების ნებართვით.

„სასაცილო იქნებოდა. - სწერს „ფოსიშე ცაიტუნგი“, - აქედან იმის მტკიცება, თითქოს ვილჰელმის ჯარების სამხედრო უფროსებს არავითარი კავშირი არ ჰქონოდეთ ბალშევიკებთან.

„გენერალ ლიუდენდორფის მოგონებანი და გენერალ გოფმანის აურაცხელი გამომჟღავნებანი საბუთებს იძლევიან იმისას, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობდა ვილჰელმის მთავრობასა და ბალშევიკებს შორის. ეს არ სცოდნია მხოლოდ დიუველს და არ ყოფილა აღნიშნული საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტებში“.

ფრონტიდან

I.

ომია თუ ლხინი?!

სოფლიდან დედა ქალაქში საბედისწერო ღამეს, 19 თებერ. დავბრუნდი.

ახლად ჩაძინებული გამაღვიძა ზარბაზნების გრიალმა. მე მეგონა მტერი უკვე შემოიჭრა... ჩემი გაჩენის დღეს ვწყევლიდი, რატომ ვარ უძლური, რატომ არ ძალმიძს იარაღით მტერს თავი შევაკლა, ან რატომ არ შემიძლია მუხლმოდრეკილი ვილოცო, ღვთისმშობელს შევსთხოვო:

„დედაო ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
 შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
სამღვრთოდ მიიღე სისხლი რომელ ამ ხალხს უღვრია...
თუ რამ შეგცოდეს შეისყიდე ტანჯვით შენდობა...
მაგონდება ილიას ეს ლოცვა და სხვა მრავალი...

გარინდებული ვარ... გათენდა, ვაგზალში ვარ. მოვიდა მახარობელი, გულის გამხარებელი! მტერი დამარცხდა, მტერი გარბის, მაგრამ ამ პირველი გამარჯვებით ომი არ თავდება. მტერი მშვენიერ კახეთს შეესია, აოხრებს, იქით მიეშურებიან მამულის მცველები. მეც ვიღებ ნებართვას, მივდივარ ფრონტისაკენ. მინდა თვალით ვნახო სანგრები, დავსტკბე მეომართა ცქერით. 22 თებერვალს გავწიე ვაზიანისკენ. გავლით დავათვალიერე ორივე ნავთლუღი. ორივე ფხიზლად არის: მეომრები, მოწყალების დები და ძმები ერთ მეორეში თავაზიანობითა და სიყვარულით ირევიან, საქმიანობენ, ყველა იმედით გამოიყურება. აქ მოქმედობს ქალაქის საკვები პუნქტი, რომელშიაც უმთავრესად მსახურებენ უმაღლეს სასწავლებლის ქალვაჟები. რკინის გზის მოსამსახურეთა ერთგულებაც აუწერელია. დღეს პირველი დღეა 40 წლიანთა მობილიზაციის, არავინ არ საყვედურობს, რკინის გზელ ბევრ მოსამსახურეს კიდეც უხარია, მეტადრე ძველ ჯარისკაცებს - თოფის ხმარება ვიცით და ახლა ფრონტს მეტად გა მოადგებით, ვიდრე ზურგსო. საღამო ჟამს კა ხეთის ნავ - თლუღში მოდიან შეიარაღებულნი ლილოს სოფლელნი, ეცხადებიან ადგილობრივ მილიციის უფროსს, თემის თავმჯდომარემ გაახლათ ჩვენი თავი. რკინის გზას უნდა უდარაჯოთო. მათი სიტყვით კახეთის ყველა სოფელ-თემში შემდგარა მოხალისეთაგან თავდაცვის რაზმები. მზათ ვართ ყველამ ვიმსახუროთ ჩვენი პურით ოღონდ კი მთავრობა გაგვიძღვეს და მტრის გულისად ნუ გაგხვდისო. მაგონდება განსვენებულის ალ. ყიფშიძის ნაწერი „ამბოხება კახეთში“, მაშინ თუ ერთი მუჭა კახელები, ის კახელები, რომელთაც მაშინ თვით შინაურებიც კი ღალატობდენ, დღეს გაერთიანებულ კახეთსა და მთლიან საქართველოს რა გასტეხს, ვინ დასჯაბნის, შეაწუხებენ, მაგრამ ვერ დაამარცხებენ.

საშინელი ცივი ღამეა, ქარი სისინებს, სანგრებში ცეცხლი რომც იყ ოს, ხომ არ შ ეიძლება გა აჩაღონ. რკინის გზას და რაჯობს რესპუბლიკის სიამაყე ჯავშნოსანი. დილით, 23 თებერ. ჯავშნოსანის გმირებმა ამატარეს ფრონტისაკენ. მთელი ველი სავსეა ჯარისკაცებით. ცივა, კბილს კბილზე გაცემინებს. ჯარისკაცები კი ყველა

მხნეთ არის, იცინიან, ხუმრობენ, ზოგან ნელი სიმღერა მოისმის, ზოგი დავლურს უვლის. ზოგიერთ ჯგუფებში მსჯელობენ, მდგომარეობას ითვალისწინებენ. რა უნდათ ჩვენგან? კითხულობს ერთი მკვირცხლი ახალგაზრდა ჯარისკაცი და პასუხს თითონვე იძლევა. უნდათ , რომ დაგვიმონონ და ჩვენც სადღაც სხვისი ქვეყნის გასაწითლებლათ გაგვირეკონ წინ, როგორც ჩვენში მოერეკებიან ტულისა და კურსკის გუბერნიიდან - ყველას, ყველას სალდათებად წაგვიყვანს. ვერ ეღირსება ვერა, გაისმის ომახიანი მუქარა სხვების. ეს ბალშევიკებია თუ ვიღაც ოხრები, სომხებმაც კი არ ინდომეს, მათაც კი ჩამოაგდეს და ჩვენ როგორ უნდა მივიღოთ, ამბობს მეორე. აქა იქ ჩალა ბულისა და ძეძვის ცეცხლი გაუჩაღებიათ. ეს ომი კი არა ნამდვილი ქართლული დღეობაა, ხატობაა. ბედნიერებით მევსება გული, შორს უიმედობავ! აგერ ჩამოიქროლა ავტომობილმა. ჯარისკაცების სახე გაბრწყინდა, ყველა აღფრთოვანდა, მთავარსარდალი მოდის, ვაშა! ნეტავი შენს მშობელს გენერალო, რა ბედნიერი, როგორი სიყვარულით

შემოგცქერიან, შენ ხარ მათი სასოება... მივდივარ შუაგულისაკენ და კიდევ მეტად განვიცდით აღფრთოვანებას. სხვადასხვა ასაკისა და ტიპისაა ჩვენი ლაშქარი მოხუცი და ახალგაზრდა, სხვადასხვა კილოკავებით მოსაუბრე, მაგრამ ყველა ერთი გრძნობით გამსჭვალული, ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ ჩვენსას ვიცავთ. რა უნდა რუსებს ჩვენში. მართლაც და რა უნდათ? კუდა-ხარი ვარგოდეს ბუზებს თვით არ დააჭმევს თავს. არ ვიცი რომელი რუსეთის კმაყოფილი დარჩეს ქართველობა: თვითმპყრობელობა ანადგურებდა - „სოციალისტები“ კიდევ უარეს სჩადიან, სხვა რუსი კი მას ჯერ არ უნახავს. მაგონდება მგოსანი აკაკი და მის მიერ დახასიათებული რუსები - სამოთხეში შესვლისას.

„ჯვარით, ცულით და მათრახით,

ლოცვით და დედის გინებით“.

ყველაზე ბოლოს შვიდენ რუსები და თან შეიტანეს (სამოთხეში)

„მგლის ტყავი, დათვის ტორები“. ახლაც ასე მოდიან, ამ ჩვენს სამოთხეში. მაგრამ მოდიან „სოციალიზმის წითელი დროშით“ და თავზე ტაკი მასხარას ქუდით. მერე ვისი ლოცვა კურთხევით და წინამძღოლობით მოდის ეს ველური ურდო? ისევ ჩვენების, ფილიპე მახარაძისა და მისებრ დამთხვეულების, აფსუს წითელო დროშავ მათ ხელში წაბილწულო! ესენი პოლიტიკური სამთვარიოთ, დაავადებული მანიაკებია და არა რევოლიუციის ბელადები. ჩვენი ნოეს მოწაფეებს უწოდებს თავს, ნამდვილათ კი ბიბლიური ნოეს შვილი ქამებია.

საქართველოს გმირებთან ერთად ლაჩრები, დედის ძუძუს მომჭრელებიც ყოლია, მაგრამ ამათ არამზადობაში ვერავინ შეედრება - თავის ქვეყნის ასაოხრებლად, დედისა და ასულების ნამუსის ამხდენელებლათ სკვითებს ეპატიჟებიან. წყეულიმც იყავთ, წყეულიმც ქამებო! კაისმა ერთი ძმა მოჰკლა, ქამმა მამის სიტიტვლე არ დაფარა, იუდამ მხოლოდ ერთი მასწავლებელი გაყიდა, თქვენ კი რამდენ ძმას კლავთ, რამდენ მამას ატიტვლებთ, რამდენ მოძღვარს ჰყიდით!

მაგრამ... მიუბრუნდეთ ისევ ფრონტს. ამ ფრონტზე თქვენი მესაფლავენი არიან, თქვენ ამ ფრონტის ნახვა გულს მოგიკლავს, ჩვენ კი გვიხარია, რადგან ვხედავთ, რომ აღსრულდა მგოსნის სიტყვები:

„ჩემი მამული საქართველო, დღეს მიცოცხლდება
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს
ერთი ზღვიდანა მეორემდე ერთს ფიქრს ფიქრობს,
და ეგ ფიქრია ჩვენი ქვეყნის თავისუფლება!!
დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

დიახაც რომ ერთი ზღვიდან მეორემდე ჩვენი ერთს ფიქრს ფიქრობს - ეს ფიქრია თქვენი და თქვენ მიერ დაბრმავებული ჯარის თავიდან მოშორება და მოგიშორებს კიდეც ორივეს. თქვენ იანიჩრები ხართ, ჩვენ კი ნამდვილი მამულის შვილები გვყავს - გაწყდებიან მაგრამ მის დამღუპველს მაინც არ ემსახურებიან...

მოხუცი

დაღესტანი, თერგი, ყუბანი

ამ დღეებში თფილისში ჩამოვიდა კავკავიდან საცალფეხო გზით გადმოსული N... მისი გადმოცემით კავკავის გაზეთებში უკვე ყოფილა ცნობა მოთავსებული თფილისში მომხდარი გადატრიალ-ების შესახებ არუსტანოვის მეთაურობით. ეგრეთ წოდებული „შუ-ლავერის მთავრობის“ ზოგიერთი წევრები, როგორც მაგ. გეგეჭკორი და სხ. კავკავში არიან.

N... სიტყვით მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში ასეთია:

დაღესტანში ხშირია აჯანყებები, აჯანყებულნი უმთავრესად ეტანებიან რკინის გზის ლიანდაგს - ახდენენ გზებს, თავს ესხმიან ბალშევიკთა რაზმებს და სხ.

დიდი მზადებაა ყუბანშიაც. სრულიად მცირე საბაბი იქნება საჭირო, რომ მთელი ყუბანი აჯანყდეს.

გზაში, დუშეთის მაზრაში N-ის სიტყვით ხალხი დიდი აღ-ფრთოვანებითაა. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა ფეხზე დგას შეიარაღებული და მზად არის ეკვეთოს მტერს.

N-ს თავის თვალით უნახავს 60 წლის მოხუცებიც თავით ფე-ხამდე შეიარაღებულნი, - ტანზე აცვიათ შინაური საბნები, პალტოთ შეკერილები; ყველა მხნედ არის და გაიძახის: რათ გვინდა მთავრო-ბის დაძახებაო.

ლარსიდან თფილისამდე დიდი და პატარა ყველა შეიარაღებ-ულია და მედგრად იცავს გზასა და წესრიგს.

თფ. პროფ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატისაგან

თფილისის პრო ფესიონალურ კავ შირთა საბ ჭოს სეკ რეტარი-ატის ბინაზე მიიღებიან ჩასაწერათ ყველა ისინი, რომელთაც არ ეხე-ბა მობილიზაცია, ანდა ვინც განთავისუფლებულია სამხედრო სამ-სახურისაგან ამა თუ იმ მიზეზის გამო და გაიგზავნება სამხედრო სამუშაოზე, ან და შეიარაღებული იქნება თავდაცვისათვის. მსურვე-ლებმა ჩაწერის დროს უნდა წარმოადგინონ შესაფერი დოკუმენტე-ბი სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. ჩაწერა შე-იძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

რკინის გზაზე

(გენ. გუბერნატორის ბრძანებიდან)

ვინაიდან შემჩნეულია, რომ რკინის გზების ზოგიერთი მოსამსახურენი და მილიციის მოხელენი განზრახ არ უფრთხილდებიან ქალაქთა და დაწესებულებათა ნივთებს და ბარგს, რის გამო ბლომად იკარგება ეს ნივთები, ამიტომ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ საქმეში ვაკისრებ თვითონ მომსახურეთ და რკინის გზის მილიციას. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სამხედრო წესების მიხედვით (სდს).

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ არავის არავითარი შემოწირულებების აკრეფის უფლება ფრონტის საჭიროებისათვის ნივთების სახით არ აქვს, თუ მას არ ექნა კომიტეტის რწმუნებულება, ნებართვა, მანდატი და შესაფერი შემოწირულების სარეგისტრაციო წიგნაკები.

ყველას ვსთხოვთ, ვინც ამის საწინააღმდეგოს ჩაიდენს, ის იქნეს წარმოდგენილი ფრონტის კომიტეტის კანცელარიაში, სასახლეში, მისი ვინაობის გამოსარკვევად.

ნივთებით შემოწირულებანი ყველას თვითონ შეუძლია მიიტანოს ყოველთვის სასახლეში ფრონტზე გასაგზავნად, ეს ცხადდება ყველა არსებულ ორგანიზაციებთან შეთანხმების მიხედვით.

ფრონტის კომიტ პრეზიდიუმი

სამტრედია

16 თებერვალს შესდგა სამტრედიის ქალაქის საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა.

მოსმენილ იქნა მთავრობის თავმჯდომარის დეპეშა. საბჭომ ერთხმად დაადგინა მხარში ამოუდგეს მთავრობას და დაეხმაროს რითაც კი შეუძლია.

საბჭომ გამოყო თავის წრიდან კომისია, რომელსაც დაავალა აუხსნას მცხოვრებთ საქმის ვითარება და მიაწოდოს სწორი ცნობები. მოუწოდოს მოქალაქეებს: გვარდიაში მოხალისეებათ ჩასაწერად, მოაწოდონ დაუყოვნებლივ შესაკრებ პუნქტებზე მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში სურსათი, დაეხმარონ ვის რითაც შეეძლება თავდაცვის ფონდს.

სამტრედია 8 უბნად დაიყო. უკვე ამუშავდა სამტრედიის საბჭოსთან არსებული ფონდის დამხმარე გამგეობა ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით.

სამტრედიის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა გადასდოს ორი დღის ჯამაგირი თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებდეს საჭიროების მიხედვით. გაიმართა ხელის მოწერა ფულის შესაგროვებლად. რწმუნებულად რკინის გზის რაიონში თავდაცვის ფონდის გამგეობიდან დანიშნულია გამგეობის წევრი ფ. ჯაკობია. შემოწირულება გროვდება ქალაქის ყველა უბნებში. ყველა უბანს ცალკე რწმუნებული ჰყავს.

ქალაქის გამგეობასთან დაარსებულია მოხალისეთა მიმღები კომისია, რომელიც შესდგება გამგეობის, რკინის გზის პრ. კავშირის გამგეობის და სამტ. საოლქო შტაბის წარმომადგენლებისაგან.

პირველი პარტია მოხალისეებისა და სახალხო გვარდია უკვე გაემგზავრა ფრონტისაკენ. გაცილებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მოხალისეთა ჩაწერა გრძელდება.

ხალხში დიდი აღფრთოვანებაა. ყველა მზად არის დაიცვას სამშობლოს თავისუფლება რითაც კი შეუძლია.

X.

სამობილიზაციო განცხადება

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ექიმთა მობილიზაცია ორმოც (40) წლამდე. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 25 თებერვალი.

ამიტომ გაწვეული ექიმები უნდა გამოცხადდნენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, სახლი თამამშევისა) დილის 9 საათზე.

თფილისის ქალაქის გამგეობა

გენერალ-გუბერნატორის ბრძანებანი

№ 18.

შესდგეს დამფასებელი კომისია თფილისის გამგეობის წევრის ბესელიძის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებად შევლენ მილიციის წარმომადგენელი, მილიციის უფროსის დანიშვნით და მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი, მინისტრის დანიშვნით. ამ კომისიის ვალდებულება იქნება ყველა იმ სურსათ-სანოვაგის შეკრება, რასაც რეკვიზიციას უზამს მომარაგების სამინისტრო.

№ 19.

განთავისუფლებულია, თანახმად მთავრობის დადგენილებისა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის მოვალეობისაგან და სრულიად სამსახურიდან შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე, მისი აფხაზეთის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ დანიშვნის გამო.

№ 20.

ინიშნება თანახმად მთავრობის დადგენილებისა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი სიმონ პეტრეს ძე გეგელაშვილი (თავის თანამდებობაზე დატოვებით) იმ უფლების აღჭურვით, რომელიც მე მაქვს მონიჭებული მთავრობის და თავდაცვის საბჭოს მიერ.

გენ-გუბერნატორი ჩხიკვიშვილი

თფ. პროფ. კავშირთა საბჭოს საკვები პუნქტი

მეორე რაიონის შტაბის წევრთ მიეცა 100 გირ. თამბაქო, 50.000 ცალი პაპიროსი და 20 ბოთლი არაყი.

ნავთის საწყობს (ნავთლუღში) 26 გირ. პუნქტი, 1 გირ. ყველი და 2 გირ. ძეხვი.

მეორე რაიონის შტაბს 20 ბოთლი არაყი.

გაიგზავნა ვაზიანის ფრონტზე ორი პალტო, 30 ბოთლი არაყი, 5 ბოთლი კონიაკი, 14 ფუთი და 5 გირ. პური, 100.000 ცალი პაპიროსი და 51 კრუჟკა.

არსენალის საყარაულო რაზმმა მიიღო 3 ფუთი პური, 2 გირ. მონპასე და 80 პაჩკა თუთუნი.

თფილისის მეპურეების საყურადღებოდ

თფილისის ყველა პურის საცხობების, თორნეების და პურის დუქნების პატრონები მოვალენი არიან სასწრაფოდ გამოცხადდნენ სასურსათო განყოფილებაში რეგისტრაციისათვის. აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ რეგისტრაციის დროს ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული მოწმობა ვაჭრობის შესახებ და აგრეთვე: 1) პურის საცხობის ან დუქნის პატრონის ვინაობა, 2) რა ტიპისაა პურის საცხობი, 3) რამდენი ფეჩია პურის საცხობში, 4) რამდენი პური გამოცხვება დღეში, 5) რამდენი იყიდება მომხმარებლებზე ფურნეში და პურის დუქნებში.

რეგისტრაცია დაიწყება 25 თებერვლიდან და გაგრძელდება 1 მარტამდე, რის შემდეგ წისქვილებზე ხორბლეულობის დაფქვის უფლება მიეცემა მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ პურის საცხობებს.

თფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ბაზრის მეთვალყურეობის გარშემო

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება უმორჩლესად სთხოვს ქალაქის ყველა ხმოსნებს, რომელთაც საბჭოს დადგენილების ძალით დავალებული აქვთ ბაზარზედ ფასების

თვალყურის დევნება, შედგენილი ოქმები წარმოადგინონ სასურსათო განყოფილებაში მათთვის შესაფერი მსვლელობის მისაღებად.

თფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

სავარჯიშო სროლა

გენერალ-გუბერნატორი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ახლათ გაწვეულ ჯარის კაცთა შესასწავლად სავარჯიშო სროლა ქალაქ თფილისში გაგრძელდება 25 თებერვლამდე.

ნემსით და საკერავ მანქანებზე მომუშავეებს

თანახმად მთავარი შტაბის მომარაგების განყოფილების მოწერილობის სეკრეტარიატი მოუწოდებს ყველა იმათ, ვისაც შეუძლია ნემსით და საკერავ მანქანაზე მუშაობა. ყველა კავშირის წევრი ვალდებულია საჩქაროთ გამოცხადდეს სეკრეტარიატის ბინაზე, საიდანაც ისინი გაიგზავნებიან სამუშაოდ გვარდიის მთავარი შტაბის მომარაგების განყოფილებაში.

შკოლა და სამკერვალო („ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“)

ვიდრე ეს ომი წარმოებს ემსახურება მხოლოდ ფრონტის და „წითელი ჯვრის“ საჭიროებებს და ამიტომ მოუწოდებს ყველა იმათ, ვისაც კი შეუძლია კერვა და სურს თავისი შრომით ფრონტს და „წითელ ჯვარს“ დახმარება აღმოუჩინონ, მობრძანდნენ სამუშაოთ დილის 9 ს. საღამოს 5 საათამდე. მისამართია ვერის დაღმართი. სახლი N 3 ბინა N 9 - ეზოში.

სამგლოვიარო ბარათი

მე- N... ქვეითი ათასეულის მე-3 გუნდი უღრმეს მწუხარებას განიცდის ძვირფასი და დაუვიწყარ, საყვარელ ლეიტენანტ ვალიკო გარდაფხაძის და ჯარისკაცების: კონდრატე გუჯაბიძის, ივანე სურგულაძის და გერასიმ არჩვაძის დაკარგვის გამო, რომლებიც გმირუ-

ლად და მამაცურად შეეწირენ სამშობლოს მტრის იერიშის დროს კოჯორის მიდამოებში.

მე-N. ათასეულის მე-3 გუნდის მონდობილობით მაქსიმე გ. ბილიხოძე.

პროვინცია თავდაცვის საქმეში

გორი. თავდაცვის საქმეში ყველგან ინიციატივას თვით ხალხი იჩენს. ხშირათ ჩვენს განკარგულებას არც კი უცდიან. მობილიზაცია ბრწყინვალეთ ტარდება, მოხალისეთა ჩაწერას ვერ ავუდივართ. საეჭვო პირებს ყველგან თავად გლეხები ატუსაღებენ. ყველა თემთან მჭიდრო კავშირია. ცენტრის ინფორმაცია რეგულიარულად ეგზავნებათ.

ოსებიც აცხადებენ ბრძოლის ველზე წასვლის სურვილს. საჩუქრები და შემოწირულებანი საჩქაროთ გადმოიგზავნება. მოდის განუწყვეტლად ხორბლეულობით დატვირთული ურმები. ჯარისკაცები და მოხალისენი თხოულობენ ჩქარა იქმნან გაგზავნილი ბრძოლის ველზე. ყველა თავის სადარაჯოზეა.

ორგანიზაციის დავალებით: გაბუნია, ქვათაძე

-

ზუგდიდის მაზრა ფეხზე დადგა. ხალხი, განურჩევლად მდგომარეობის, მზად არის შესწიროს სიცოცხლე და ქონება სამშობლოს თავდაცვას. სამაზრო ერობა მუშაობს მხოლოდ ფრონტისთვის. ხალხში ინფორმაცია მოწყობილია. მობილიზაცია და მოხალისეობა კარგათ ტარდება. სიმინდი ჯარისთვის გროვდება ყველა სოფელში და დაუყოვნებლივ გადმოგზავნილი იქნება.

ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია

-

ჭიათურა-საჩხერის რაიონი ფეხზე დგას. მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა. ჯარისათვის სურსათი და ფული ყველგან გროვდება. ყველგან სამაგალითო წესრიგია. ხალხი აღფრთოვანებულია და მზათაა ან გაიმარჯვოს ან მოკვდეს.

ჭიათურის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ანთელიძე

სურამის ქალაქის საავადმყოფომ მიიღო დაჭრილები. მოქალაქენი დიდის აღფრთოვანებით შეეგებნენ და დახმარება აღმოუჩინეს ფულით და სურსათით. მობილიზაციით გაწვეულნი ყველა გამოვგზავნეთ. მოხალისეთა რაზმს ვგზავნით.

სულიაშვილი

ბათომი. 22 თებ. ორთა ბათომის საზოგადოებამ 20 თებერვალს მოისმინა რა მოხსენებები დამფუძნებელ კრების წევრის ის. რამიშვილის და ჰაიდარ აბაშიძისა შექმნილ მდგომარეობის შესახებ, გამოსთქვამს თავის უდიდეს პროტესტს და ზიზღს საქართველოზე ვერაგულათ ბალშევიკურ ჯარების თავდასხმის გამო, უსურვებს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას და მტრის სასტიკ დამარცხებას. ამასთანავე ყრილობა აღუთქვამს ომში საქართველოს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება. ყრილობის თავმჯდომარე უსუფ აბაშიძე.

ქრონიკა

- მფეთქადი ტყვიები. ამ დღეებში ჩვენმა სანიტარებმა აღმოაჩინეს სოღანლუღის ფრონტზე დაჭრილი „კომუნისტი", რომელიც ტომით ზირიანი (პერმის გუბერნიიდან) აღმოჩნდა. მას ყველა პატრონები აღმოაჩნდა ისეთი, რომელიც სქდება სროლის დროს და რომლის ხმარება ამიტომ საერთაშორისო წესებით აკრძალულია. მხოლოდ ყაჩაღური თავდამსხმელები მიმართავენ ასეთ საშუალებებს. ჩვენმა ჯარისკაცებმა საერთოდ ბევრი ვაზნები გადმოგვცეს ფრონტზე მოპოვებული ბრძოლის შემდეგ, რომელნიც ასეთ გამხეთქავი ტყვიებით არიან გატენილი.

ბარბაროსი კომუნისტები ამ ბარბაროსულ საშუალებასაც, როგორც სჩანს, არ ერიდებიან. ან რა უნდა მოეთხოვოს მმარცველთა ბრბოებს?

- ექიმთა მობილიზაცია. თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ექიმთა მობილიზაცია 40 წლამდე მთელ რესპუბლიკაში. პირველ დღეთ დანიშნულია 25 თებერვალი (სდს).

- მობილიზაციის შესახებ. შესწორება. შეცდომით დაბეჭდილი იყო: „თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა რესპუბლიკის მოქალაქეთა მობილიზაცია და სხ.“ უნდა იყოს: თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა მობილიზაცია ქ. თფილისის და თფილისის მაზრის მოქალაქეთა 19-დან 40 წლამდე (სდს).

- ყველა დაწესებულებებს. თებერვლის 24 გენერალ გუბერნატორის ბრძანებით შემდეგი ეუწყა: გზათა მოძრაობის უფროსი გვატყობინებს, რომ უწყებები და დაწესებულებანი ვაგონებს ტვირთავენ რამოდენიმე დღის განმავლობაში. ეს ხელს უშლის მოძრაობის საქმეს და აფერხებს ევაკუაციას. ამიტომ წინადადებას გაძლევთ, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოთ ვაგონების დატვირთვა და გაგზავნა დანიშნულ ადგილზე.

- თფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებით თფილისის გამაგრებულ რაიონში მომხდარი ყოველგვარი ქურდობა ჩაითვლება მარადერობათ (ძარცვა-გლეჯათ). დამნაშავენი დაისჯებიან სამხედრო დროის კანონების მიხედვით.

- მუშათა მაგიდა შეუდგა თფილისის მუშა-მოსამსახურეებისათვის ნახშირის დარიგებას. ფუთი ნახშირი ეღირება 800 მანეთი. ნახშირის გამოწერა მუშათა მაგიდიდან შეუძლიათ ჯგუფებს და დაწესებულებებს. თვითეულ მუშა-მოსამსახურეს მიეცემა ორ ფუთამდე. მსურველმა დაჩქარებით უნდა წაიღოს გამოწერილი ნახშირი, რადგანაც 1 მარტისთვის დარჩენილი ნახშირი განზრახულია პროვინციელ მუშათა მაგიდებს დაურიგდეს.

- მე-10 და მე-12 უბნის თავდაცვის კომიტეტმა თავის ხარჯით მოაწყო სასტუმრო „ნოე“-ში ლაზარეთი 20 საწოლით.

ფრონტის ფონდი

მოქალაქე რედაქტორო! გაახლებთ ფრონტის ფონდს 16 თებერვალს იოსებ ზაქარიას ძე თანდილაშვილის ოჯახში შეკრებილს: ანნა თანდილაშვილისამ 2000 მან., ვარა კალანდაძისამ 2000 მ., ნინო ჯანგველაძისამ 2000 მ., სოფიო სესიევისამ 1500 მ., თინათინ თარალაშვილმა 1500 მ., აგრაფინა ბაბუნაშვილისამ 2000 მ., სონა ჯანაშვილისამ 2000 მ., ვარა ნონიევისამ 2000 მ., ნინო ვახტანგოვისამ 2000 მ., ლიზა მელიქოვისამ 2000 მ., ვარა ტაბუაშვილისამ 1500 მ., დავით კალანდაძემ 500 მ., სილოვან ბაბუნაშვილმა 500 მ., იოსებ თანდილაშვილმა 3000 მ., სოსო მელიქოვმა 3000 მ., დათიკო ვახტანგოვმა 3000 მ., ვასო ტაბუაშვილმა 2000 მ., ნახევარი თვის ჯამაგირი გვარდიელმა თარალაშვილმა 2025 მ. სულ 47.025 მან.*

* ფული მივიღეთ

პატივისცემით ავქსენტი ჯანგვალაძე

—

რედაქციამ მიიღო 6000 მან ფრონტის სასარგებლოთ ივანე ზუკაკიძისაგან.

რედაქტორი ლევან ნათაძე